სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 13 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 220 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 220

დამწუხრებულნი დედა ლიუდი ქარცივაძის ასული ვანიძისა, დაი ლეონინა და ძმა მიხაკო ვანიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს რომ ამა წლის 1 ოქტომბერს (ძვ. სტ.) შემოქმედში წითელ-მთის ეკლესიაზე, გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზე დაკარგულ დაუვიწყარ ძმის

**დათიკო ალექსანდრეს ძე ვანიძის**

ხსოვნის აღსანიშნავად.

გრიგოლი პეტრეს ძე, გიორგი გრიგოლის ძე და ეკატერინე როსტომის ასული ბეჟიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 ღვინობისთვეს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლის, მეორესი დედის და მესამესი დედამთილის

**ეფემია გიორგის ასული ბეჟიაშვილის**

სულის მოსახსენებლათ.

გულ დამწვარი დედა მარიამ, ძმა ვლადიმერი და რძალი ანნა, სიძე ალექსანდრე ესტატეს ძე მაისურაძე და და მარგალიტა მაისურაძისა, შვილებით: ვახტანგითა და კონსტანტინეთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად მოკლულ სოფელ გორდთან (ხონის მაზრა) ბოლშევიკთა ბრბოებთან ბრძოლის დროს დაუვიწყარ მე-2-ე რაზმის მე 8 ე ასეულის უმცროსის პორუჩიკ

**შალიკო (იოსებ) ნიკოლოზის ძის ოქრუაშვილის**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას 13 ოქტომბერს გორის საკრებულო ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, რის შემდეგაც იქნება გადახდილი პანაშვიდი.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედ, მამა ხოსო, ძმები ვარლამ, გიორგი და პავლე ხოსოს ძენი, დები შინავაჯე და თებრონე, სიძეები: თომა ცქვიტინიძე და სერგო ხოხიაშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღეს, 13 ოქტომბერს (ახ. სტ.) 12 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვლილ ჩვენი ძვირფასი

**მიხეილ ხოსოს ძე შოშიტაიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

ნაფიცი ვექილი გიორგი თეოდორეს ძე ჟორდანია და ძმით და-ცოლშვილითურთ გულითადის მწუხარებით ამცნობს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის ძმის

**ერეკლე (ჭიკჭიკ) თევდორის ძის ჟორდანიას**

ტრაღიკულად დაღუპვას—ამა ღვინობისთვის 10 ს, გორის მაზრის სოფ. კასპის მახლობლად. პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, ღვინობისთვის 13 ს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა მიცვალებულისა სოფ. კასპში (რკინის გზის სადგური) ორშაბათს, ღვინობისთვის 14 ს.

**მუშათა კლუბი.** დღეს, 13 ოქტომბერს 1918 წელს

მიხეილის პრ. № 65. დანიშნულია **დიდი**

## სეირნობა-კონცერტი

წმინდა შემოსავალი გადადებულია პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სასარგებლოდ.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ კონსერვატორიის დირექტორი პროფესორი ნ. ჩერეპნინი და სხ.

სეირნობის დასაწყისი საღამოს 6 საათზე, კონცერტის 8 საათზე.

შესასვლელი ბილეთი ღირს 3 მან. 8 ოქტომბერისთვის ნაყიდი ბილეთები ამ დღისათვის გამოდგება.

**სახელმწიფო თეატრი.** ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა.

კვირას, 13 ოქტომბერს

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედებათ, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ლევიცკისა, სპიტკო, იანსა, ოვსიანიკოვისა, ბ-ნი ზალიპსკი, [illegible]ოლიაევი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი.

დირიჟორი ხამოსუდი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

სოც.-დემ. მ. პ. ბორჯომის რაიონის კომიტეტი

ორშაბათს, 14 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, შუშის ქარხნის სკოლის დარბაზში, იწვევს პარტიის წევრთა

## საერთო ყრილობას.

განარჩევია: 1) მომენტი, 2) სასიეზდო კითხვების განხილვა, 3) დელეგატების არჩევა გორის სამაზრო ყრილობაზე და 3 ნოემბრის საერთო ყრილობაზე და 4) არჩევა პარტიულ საკანტროლო კომისიისა. დარბაზში შესვლა ბარათებით.

ბორჯ. ს. დ. რაიონ. კომიტ. თავმჯდ. გრიშა ურუშაძე.

კვირას, 13 ოქტომბერს დილის 10 საათზე პოლიტიკურ მუშათა კლუბში დანიშნულია მეექვსე რაიონულ კოლექტივის წევრთა

## საზოგადო კრება.

განსახილველია: 1) მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) რეორგანიზაცია კოლექტივისა, 4) არჩევნები დელეგატისა პარტიულ სიეზდზე.

## ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის სამ ნოემბერს უნდა გაიხსნეს.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე გასულიყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი დიდი შემთხვევებითა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოს, არარატისა და ადერბეიჯანის.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენ პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

საბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს გულის ყური თქვენსკენ იყო მოპყრობილი.. დავიწყეთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მოქმედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და სვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა ალღო დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობზე ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვესწრაფვით აქეთკენ. ჩვენმა ყრილობამ მსჯავრი უნდა დასდვას ჩვენ წარსულ ნამუშევარს, დააფასოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავლისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება, 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სასურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შენიშვნა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე 12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი.

## ჩვენი სანაპიროები

ამ ბოლო დროს ისევ წამოდგა საკითხი ჩვენი სანაპირო ადგილების გამაგრების. ჩვენი საზღვრები მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია. მოსაზღვრე ჯარი ჯერ არ გვყავს. მტრები კი აუარებელი გვახვევია გარშემო და ყველანი მზათ არიან ისე შეკვეცონ ჩვენი ტერიტორიის ფარგლები, რომ თვით სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელი გახადონ. მართლაც ღია კარებში სახელმწიფოს გაძლება არ შეუძლია. და აი ამიტომ მრავალი სხვა და სხვა სახით და ფორმით სდგება ჩვენს წინაშე საკითხი ამა თუ იმ ადგილის ჩამოჭრას და მეზობელ ტერიტორიალურ ერთეულებზე მიკერების. ბორჩალოს მხრით ყარაიაზის გარშემო, კახეთის სანაპიროებში, დარიალში და ბოლოს აფხაზეთში—ყველგან ერთი და იგივე საკითხია წამოყენებული. არც ერთ მხარეში საქმე აჯანყების გარეშე არ დათავებულა. და უმეტეს შემთხვევაში საქმე მოსაზღვრე ხალხის და რუსების რეაქციონურ წრეების ჩარევლათ არ დარჩენილა. ამ უკანასკნელ ჟამს ეს ცეცხლი აჯანყებისა მოედვა აფხაზეთს. უკეთ რომ ვსთქვათ აფხაზეთის მაღალ წრეებს, რომელნიც ხალხის ნების წინაღმდეგ მათ ზურგზე ბატონობას ცდილობენ.

ის ელემენტები, რომელნიც გუშინ ოსმალთა ასკერებს იწვევდენ და მათი საშვალებით ცდილობდენ აფხაზეთი ოსმალეთისთვის შეეერთებიათ, დღეს ალექსეევ-დენიკინის ჯარს შესტრფიან და ამ რუსეთის რეაქციის მატარებელთაგან მოელიან თავის მიზნების და იდეალების განხორციელებას.

არსად აჯანყებას ასე აშკარათ რეაქციონური ხასიათი და მემამულეთა ინტერესების დაცვის სარჩული არ ჰქონია, როგორც აფხაზეთში.

დღეს ოსმალეთი, ხვალ ალექსეევ-დენიკინი ესე იგი ის, ვინც რეაქციასატარებს. ოღონდ არა დემოკრატიული სახალხო მთავრობა საქართველოს რესპუბლიკისა ბოლშევიკების კარგა ხნის ბატონობას ამ მხარეში—ჩვენი აზრით უეჭველად უნდა მოყოლოდა რეაქციონერების ასეთი გათამამება და იარაღით გამოსვლა. აფხაზეთის ხალხი, აფხაზეთის გლეხობა ამ აჯანყებაში არ ურევია. იგი მემამულეთა ავანტიურას არ აყოლია. ამიტომ თვით აჯანყებას სერიოზული ხასიათის მიღება არ შეუძლია შინაური ძალების მეოხებით.

ეჭვი არაა აჯანყებულთა მთელი იმედები გარეშე ძალაზეა დაყრდნობილი: წინეთ ოსმალებზე, ახლა, დენიკინზე.

ეს კი ნამდვილი მოღალატური მოქმედებაა. გაბატონებული წოდება, განწირული რევოლიუციისაგან, გაკოტრებული ქონებრივათ, ზნეობრივათ და პოლიტიკურათ უკიდურეს ზნეობრივ დაცემამდე მიდის, თავის ხალხის წინააღმდეგ გარეშე ძალას იწვევს, თავის ხალხს ყიდის იმ საფასით, რომ მამული შეინარჩუნოს და გლეხებზე ბატონობა კვლავინდებურათ განაგრძოს.

დემოკრატიულ მთავრობას საქართველოს რესპუბლიკისა ამის მოთმენა არ შეუძლია.

რევოლიუციურ ტალღებში წარმოშობილი რევოლიუციური მთავრობა საქართველოსი ვერ გადაუხვევს თავის არჩეულ გზას ხალხის სამსახურისას და ხალხის დაუძინებელ მტრებს, რომელნიც იმავე დროს არიან მტერი რევოლიუციის და თავისუფლების რევოლიუციას მთელ რისხვას თავზე დაატეხს.

ჩვენ ვიცით, რომ რეაქციის ბუდე მარტო აფხაზეთის ბრწყინვალე წოდება არაა. თვით ქართველებშიაც და სომხებშიაც აქვს ასეთ ელემენტებს ბლომათ ადგილი. ამ ბოლო დროს გაზეთებში ცნობა იყო, რომ აფიცრები ქართველები და სომხები მიეშურებიან ნოვოროსიისაკენ, იქ მყოფ რეაქციონურ ჯარში ჩასაწერათ, რუსებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენზე გაბრაზებულნი ისინი ყოველ საშვალებას მიმართავენ, ოღონდ კი თავისუფალი საქართველო დაამხონ.

ბოლშევიკურ აჯანყებათა ტალღამ განვლო, ახლა თავადურ—რეაქციას ბოლშევიზმის შემოსევის სიხარული გულს ველარ მოფხანს. ჩვენ უნდა ველოდოთ მათგან საკუთარი სახით გამოსვლას, საკუთარი ძალით წყლის ამღვრევის დაწყებას. მაგრამ საქართველოს დემოკრატიას, ჩვენ ღრმათ გვწამს, ამ განწირულთა ალაგმვა არ გაუჭირდება. მკვდარი წოდება ვერ გახდება დემოკრატიის მესაფლავენი წარსულის ბორკილები დაიმსხვრა და მათი აღდგენა არავის ძალუძს. აფხაზეთის აჯანყების უკანასკნელი ტრაგი კომედია საუკეთესო თავდებია მემამულეთა უკანასკნელი გაფრთხილების უნიადაგობისა.

## რუსეთი და ჩვენ

ბულგარეთის დამარცხებამ და დასავლეთის ფრონტზე ინგლის-ამერიკის დროებითმა გამარჯვებამ საგრძნობი ცვლილება მოახდინა ჩვენ მტერ-მოყვარეთა სულიერ განწყობილებაზე. ზოგიერთი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი დარწმუნებული არიან, რომ უკვე დადგა ჟამი გერმანიის აღსასრულის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთის დასკვნის გამოყვანა ნაადრევია, მით უმეტეს, რომ გერმანიის ხალხს ჩვენთვის არ მოუცია ამის საბუთი; გერმანიის ხალხი იმდენად შეგნებული და შეკავშირებულია, რომ თავის სამშობლოს არავის გააქელვინებს. ამაში, ჩვენის ფიქრით, მალე დარწმუნდებიან საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტები, თუ ისინი მართლა სერიოზულათ ფიქრობენ გერმანიის განადგურებას.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს მეორე სახელმწიფოს—რუსეთის ბედი.

ბევრს ლაპარაკობენ ბრესტის ხელშეკრულობის ბედზე და ამ ხელშეკრულობის გაუქმებას აუცილებლათ სთვლიან.

რას ემყარებიან ამ აზრის დამცველნი?

ბრესტის ხელშეკრულობა არც ჩვენ მიგვაჩნია შეურყევლათ, როგორც სხვა საერთაშორისო აქტი, მაგრამ საჭიროა მაინც ვიცოდეთ, რაგვარ ძალას შეუძლია მისი გაბათილება.

საუკეთესო საიმედო ძალათ ისეთის დიდი სახელმწიფოსთვის, როგორიც რუსეთია, უნდა ჩაითვალოს თვით მისი სასიცოცხლო ძალები. ამ მხრით დღეს არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ რუსეთის განახლება ახლო მომავალში თითქმის შეუძლებელია: რუსეთი არა მარტო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ არის მოშლილი, იქ თითონ სახელმწიფოებრივი იდეა არის დაავადებული. ბოლშევიკებს არ ძალუძთ სახელმწიფოს შექმნა, ხოლო ის ძალა, რომელიც ბოლშევიზმს ებრძვის კონტრ-რევოლიუციონურია; ეს ძალა ებრძვის რუსეთის მუშათა კლასს და გლეხობას და როგორც ასეთს მას არ შეუძლია ამ ჟამათ მაინც რუსეთის გაერთიანება.

დარჩა გარეშე ძალა. ამ ძალამ უნდა შეაერთოს ზოგიერთების აზრით რუსეთი და მისი ძველი საზღვრები აღადგინოს.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანია ამის წინააღმდეგია და ამიტომ საჭირო იქნებოდა გერმანიის სრულ განადგურება, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ რუსეთი აღედგინათ. მაგრამ მოისურვებენ თუ თუ არა თვით მოკავშირეები რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას? არა გვგონია თვით ინგლის-საფრანგეთისათვის საჭირო იყოს ძლიერი რუსეთის არსებობა.

ავია თუ კარგი, ჩვენ და ჩვენი მეზობლები უნდა გამოვეთხოვოთ ამ ჟამათ ძველი რუსეთის აღდგენაზე ფიქრს. საქართველოსთვის მაინც ერთია ცხადი—მისთვის ყოვლად მიუღებელია ახლა ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა. დემოკრატიულ რუსეთის აღდგენა შორეულ მომავლის საქმეა; დღეს-დღეობით კი შეიძლება აღდგენილ იქნას მხოლოდ ალექსეევ-დენიკინის რუსეთი სულ ერთია ალექსეევ დენიკინის რაზმი შესძლებს ამას, თუ ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია.

ასეთს რუსეთს ჩვენ ენერგიულათ უნდა ვაქციოთ ზურგი და ყოველგვარ საშუალებას მივმართოთ, რომ დემოკრატიული სული შევინარჩუნოთ.

ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიქნებით უზრუნველყოფილი ჩრდილოეთიდან, თუ რუსეთში დემოკრატიული წყობილება მოიკიდებს ფეხს. ხოლო სანამ იქ დემოკრატიის გამარჯვება ფაქტათ არ ქცეულა, ჩვენი ზრუნვის საგანი უნდა იყოს სხვაგან კავშირის ძებნა რუსეთის რეაქციონერთა შემოტევის წინააღმდეგ გასამკლავებლად.

## რეაქცია ჩრდილოეთიდან

უდიდესი საფრთხე, რომელიც დღეს მოელის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, არის ჩრდილოეთიდან ალექსეევის სახით ჭოსული რუსეთის რეაქციონური მხედრობა, რომელიც თუმცა ჯერ ბოლშევიკებთან ბრძოლით არის დასაქმებული, მარა თვალი კი საქართველოს რესპუბლიკისკენ უჭირავს, რომ ცეცხლითა და მახვილით გაანადგუროს ხალხის ბრძოლით მონაპოვარი თავისუფლება და ნიკოლოზის ჟანდარმერია გაამეფოს. ევ. გეგეჭკორსა და ყუბანის მთავრობას შორის მოლაპარაკებამ ცხადყო, თუ რა ამოძრავებს რუსეთის მთავარ სარდლის ყოფილ სადგომის შავრაზმელ გენერლებს: ალექსეევს, ლუკომსკის, დენიკინს, ფილიმონოვს და თვითმპყრობელობის სვეტს მესამე დუმის გმირს შულგინს. ოსმალეთის შემდეგ, არც ერთი სამხედრო ძალა არ არის ისე საშიში და გამანადგურებელი საქართველოს ხალხის თავისუფლებისათვის, როგორც რეაქციონური რუსეთის მხედრობა, რომელიც შინ გამეფებულ ანარქიის წყალობით თანდათან ძლიერდება სამხრეთ ნაწილებში და აშკარაა, მისი პირველი შეტევა იქნება მომართული ჩვენსკენ, ვინაიდან ძველი დიდი რუსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ საქართველო დარჩა, სადაც დემოკრატია ძლიერია და რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებას ამტკიცებს. ამას არ უარყოფენ თვით რუსეთის ის სოციალისტები, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას თავიდანვე მტრულად შეხვდენ და მასთან ბრძოლაში ხშირათ თვით რეაქციონურ „ჩინოვნიკობასაც" ემყარებოდენ. მარა როცა წავიდენ რუსეთში და იგემეს როგორც ბოლშევიკთა, ისე მონარქისტების დიქტატურა, მაშინ ნეტარებით იგონებენ საქართველოს და სიმართლეს აღიარებენ. ასეთებია თუნდ თფილისში ჩვენს წინააღმდეგ კადეტებთან გადაბარგებული სტ. ვოლსკი და სოც.-რევ. თვალსაჩინო წევრი ბერიოზოვი.

მარა ერთია გარედან მომდგარი მტერი, ხოლო კიდევ უარესია ამ მტრის აგენტების შინ ყოლა. ქალაქში ხმებია გავრცელებული, რომ თფილისის რუსთა ნაციონალურ საბჭოში არსებობს ალექსეევის მომხრეთა შტაბი, რომელიც აგროვებს აფიცრებს და მობალისებს ყუბანში მომქმედ მოხალისეთა ჯარებისათვის. ჩვენ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდანვე საქვეყნოთ ვაღიარეთ ჩვენი ნეიტრალიტეტი და ამ შემთხვევაში ჩვენ ტერიტორიაზე უცხო ელემენტების მიერ ჯარების მოგროვება და მით უმეტეს საქართველოს წინააღმდეგ წამოსულ ჯარებისათვის პირდაპირ დაუშვებელია და ღალატის სუნი უდის. მით უფრო სამწუხაროა, როცა ასეთ ჯარებში ბევრი ქართველი აფიცრობაც ეწერება და იარაღით ხელში ძველი რუსეთის აღდგენას ემსახურება.

ყველას ახსოვს, როცა რუსეთში აფიცრობა დევნას განიცდიდა, მაშინ ეს ვაჟბატონები ჩვენს ქვეყანას აფარებდენ თავს, რომ არ გამხდარიყვნენ თვითგასამართლების და სახრჩობელების მსხვერპლნი, ეხლა კი, მადლობის ნაცვლათ, ჩვენშივე აჯანყებას გვიწყობენ და იარაღით ხელში მოდიან. ამას ნათლათ მოწმობს აფხაზეთში მომხდარი ამბები და ალექსეევის განცხადება, რომ საქართველო ტყუილათ ეპოტინება რუსეთის ოლქებს, როცა თვით აფხაზეთშიაც ჩვენ გვემხრობიანო.

ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ეს განცხადება და როგორ ახარებს ის თფილისში მოკალათებულ რუს „ჩინოვნიკებს", რომელთა ფეხის ხმას აყოლია ჩვენია ქვეყნის ნაძირალები, ზოგი რეაქციონერი აფიცრები და ბრწყინვალე წოდების გმირები.

ყოველ ასეთ მოვლენას დემოკრატიამ ფხიზლათ უნდა ადევნოს თვალი. ის უნდა დარაჯათ ედგას მისი სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას, ხოლო დემოკრატიული მთავრობის ვალია ალაგმოს ჩვენს ოჯახში უკანტროლოთ მოთარეშე დაუპატიჟებელი სტუმრები.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

12 ოქტომბერი.

**ტრანს ოკეანის** პრეს ბიუროს ცნობა: გერმანიის პრესა დღე-მუდამ არკვევს საკითხს ომისა და ზავის შესახებ და უბრუნდება ვილსონის სიტყვებს ხალხთა ლიგის შესახებ. „ფორვერტსი" ბეჭდავს ვილსონის საზავო მუხლებს და ამბობს, რომ ეს მუხლები განახლებულ-

მა გერმანიამ უნდა გაიხადოს თავის საზავო მოქმედების და მოლაპარაკების ბაზისათ, როგორც მთლიანი რამ. ამითო დასძენს გაზეთი—უარყოფილ იქნება ყოველგვარი გაუგებრობა და გერმანია დაამტკიცებს, რომ ის სრულიად გულწრფელად მოწადინებულია მონაწილეობა მიიღოს ახალი მსოფლიოს აღშენებლობით მუშაობაში.

**ბერლინი** დასავლეთის ფრონტი. დუეს სამხრეთ დასავლეთით მოწინაალმდეგემ იერიშები მიიტანა სკარპეს სამხრეთით ტრინკიესკის სექტორზე. კამბრეს და სენ კანტენის აღმოსავლეთით მოწინაალმდეგის ძლიერმა იერიშებმა უშედეგოთ ჩაიარა. ენას ბე-რი-ო-ბავზე ნაწილობრივი იერიშებია. სიურპ და არნთან მტერი მოგერიებულ იქნა. სენ ეტივნის და მდ. ენის შუა ჩვენ დავიხიეთ უკანა პოზიციებზე, ხოლო გრანდპრეს ორივე მხარეზე — ეირის ჩრდილოეთ ნაპირზე. მაასის დასავლეთის ნაპირზე მოწინაალმდეგემ განაახლა ძლიერი იერიშები, მაგრამ უშედეგოთ, მაასის აღმოსავლეთ ნაპირზე კი ამერიკელები მთელი დღე იერიშებს აწარმოებდენ დიდი ძალებით სევოის და ბომონტის ტყეებ შორის. ბრანდემბურგის და საერანის პოლკებმა მოიგერიეს ყველა იერიშები.

სექტემბრის განმავლობაში დასავლეთის ფრონტზე გავანადგურეთ სულ 779 აეროპლანები.

**სამხრეთ აღმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზი.**

ახლად მოსული ჯარები ფრანგებთან და სერბიელებთან სრულს კონტაქტში არიან ნიშს სამხრეთით მდებარე ოლქში.

**ბერლინი.** 11 ოქტომბერი. ჩვენი ახალი ხაზების წინ და კამბრე და სენ-კანტენის აღმოსავლეთით და მაასის ორივე ნაპირზე მოწინაალმდეგის იერიშები დამარცხდენ.

**პარიზი.** (დასაწყისი არ მოსულა)... აღმოსავლეთით ფრანგებმა აიღეს სოფლები: ოსოვი ნოველი, კორუა, მაშოლი, კონტრეფე, სენ მორელი. იტალიანელებმა ფრანგების ჯარის დახმარებით აიღეს: ვანდრესი, ტრუაიენი, კურტე კტონი, სერნი ლანუაში. ფრანგებმა თავისი მხრით აიღეს: კიუსი, იუვინი, პესის ტყე ელის მიმართულებით მიაღწიეს შმენ დე-დამამდე.

**გერმანული პრესის ცნობა.**

„კიევსკაია მისლი" იტყობინება, რომ გუშინ მოხდა თათბირი უკრაინისა და ყირიმს შუა. მინისტრთა პრეზიდენტმა გამოაქვეყნა უკრაინისა და ყირიმს შორის შეთანხმების პირობები. ყირიმის დელეგაციის თავმჯდომარე ვომატოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინის მინისტრთა პრეზიდენტის მიერ წამოყენებული პირობები მისაღები არ არის ყირიმისათვის. ცალკე მუხლების შესახებ ის ითხოვს მათი წარმოდგენის ვადა დაუნიშნონ 10 ნოემბრამდე, როცა მას საშვალება ექნება მთავრობის აზრიც წარმოადგინოს.

# საქართველოს პარლამენტი

**11 ოქტომბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

დღის წეს რიგი ასეთი იყო:

1) საბოლოო ტექსტი—იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსების კანონისა.

2) საბოლოო ტექსტი—კანონთა გამოცემის კანონისა.

3) საბოლოო ტექსტი ათი მილიონის ფონდიდან ხარჯების განაწილების და ამ ფონდის შევსების კანონისა.

4) სარეგლამენტო კომისიის მოხსენება პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ.

5) კანონ პროექტი სახალხო სკოლის მასწავლებლების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

6) კანონ-პროექტი თფილისის უმაღლეს კურსებისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 50,000 მანეთის მიცემის შესახებ.

ორი უკანასკნელი კანონ პროექტის გარჩევა პარლამენტმა ვერ მოასწრო.

**სარეგლამენტო კომისიის მოხსენება პარლამენტში, ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ.**

მომხსენებელი **არ. ჯაჯანაშვილი.** თქვენ რამოდენიმე დღის წინათ მიიღეთ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, თანახმად ამ კანონისა საქართველოს სახელმწიფო ენათ ქართული ენაა აღიარებული. ყველა საქმეების წარმოება ქართულ ენაზე უნდა ხდებოდეს. პარლამენტმა მაშინ აღიარა უფლება, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეუძლიანთ სიტყვა წარმოსთქვან თავის დედა ენაზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ენა არ იციან. სარეგლამენტო კომისიას არ შეეძლო ამ კანონისათვის გვერდი აეხვია და სხვა წესები შეემუშავებინა. ამიტომ სარეგლამენტო კომისიის უმრავლესობამ შეიმუშავა ისეთი წესები, რომელნიც არ არღვევენ მიღებულ კანონს. კომისიის უმცირესობა არ დაეთანხმა უმრავლესობის აზრს და შეიმუშავა ისეთი წესები, რომელნიც მიღებულ კანონს არღვევენ. მომხსენებელი კითხულობს უმცირესობის მიერ შემუშავებულ წესებს და ამბობს, რომ ამის მიღება შეუძლებელია, რადგანაც ეს კანონის დარღვევაა და როგორც ასეთი ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს პრესტიჟს დასცემსო.

**უმცირესობის აზრი.**

**რ. არსენიძე** მოხსენებას აკეთებს სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის სახელით და ამბობს: აქ პირველმა მომხსენებელმა სთქვა, რომ კომისიის უმცირესობის აზრი არ ეთანხმება კანონსო. ეს მართალი არ არის. მე ვაცხადებ, რომ უმცირესობის აზრი სწორედ ეთანხმება კანონს. ჩემს წინ დევს ის კანონი, რომლის დარღვევას ჩვენ გვაბრალებენ და რომელშიაც სწერია წესი ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარებისა განისაზღვრება რეგლამენტით. სწორეთ ამის მიხედვით შევიმუშავეთ ჩვენ აქ ენის ხმარების წესები უმრავლესობის მიერ. წარმოდგენილ პროექტში წესები სულ არ არის ნაჩვენები. კომისიის უმცირესობა კი დაადგა პრაქტიკულ გზას. სარეგლამენტო კომისიას უფლება ჰქონდა პრაქტიკულ ტეხნიკურ საკითხის მიხედვით ისე მოეწყო ეს საქმე, რომ პარლამენტის მუშაობა ყოფილიყო საქმიანი. აქ აუცილებლად უნდა მიგვეღო საქმიანობის ინტერესი თუ რა და რა წესით მოგვეხმარა ეს ენა. და აი ჩვენს წინ დგება საკითხი. რანაირად უხელმძღვანელოს კრებას პრეზიდიუმმა, თუ მას არ ესმის ის ენა, რომელზედაც პარლამენტის წევრი ლაპარაკობს, თუ კი ვიტყვით, რომ თარჯიმანი გააგებინებსო, მაშინ გამოვა, უბრალო მოხელე თარჯიმანი პრეზიდიუმის როლის შემსრულებლად. ამასთან უნდა ითქვას რომ თარჯიმანს არასოდეს არ შეუძლია სიტყვა გადათარგმნოს, რომ მისი შინაარსი ნათელი იყოს მსმენელთათვის, ეს რომ ასე არ იყოს, დაუშვებელია მაინც ის გარემოება, რომ უბრალო მოხელე, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდეს.

**რ. გაბაშვილი.** ჩხეიძე გავგზავნოთ ეჩმიაძინში ენის შესასწავლად.

**რ. არსენიძე** ამიტომ უმცირესობამ საჭიროდ დაინახა, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ელაპარაკნათ იმ ენაზე, რომელიც ესმის პრეზიდიუმის ერთ წევრს მაინც. ასე რომ აქ ჩვენ არ გადაუდივართ იმ ენებს, რომელნიც მიიღო პარლამენტმა. დასკვნა ასეთია: პრაქტიკული საქმიანობის ინტერესი, მიზან შეწონილობა მოითხოვს, რომ უმცირესობის მიერ შემუშავებული წესები მიღებულ იქნას

თავმჯდომარე აქ, როცა არსენიძე ლაპარაკობდა, რეპლიკა გაისმა, მგონი რ. გაბაშვილისაგან. მე უნდა განვაცხადო, რომ აქ ისეთი დაწესებულება არის, სადაც თავმჯდომარის შესახებ ასეთ ლაზღანდარობას ადგილი არ უნდა ქონდეს.

**გ. ვეშაპელი.** (დამოუკ. ნაც.-დემ.) კითხულობს ენის შესახებ მიღებულ კანონს და ამბობს, რომ უმცირესობის მიერ წარმოდგენილი წესები კანონს არღვევენ. ეს გარემოება კი კანონის დარღვევის ერთგვარი პრეცენდენტი იქნება. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ რუსეთში ასეთივე. განმარტებებით სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ კანონებს სენატი აბათილებდა, როცა ამას საჭიროდ დაინახავდა სტოლიპინი და კომპ. ასევე ხდება აქაც. დღეიდან გვეცოდინება, რომ აქ პარლამენტში იქნება არა ქართული უმრავლესობა შემდგარი ეროვნულ უმცირესობათა და ინტერნაციონალისტურ პარტიის სოც.-დემოკრატებისაგან. ტეხნიკური დაბრკოლება აქ მოსატანი არ არის, რადგანაც კანონი მივიღეთ, ის ბოლომდე უნდა ჩავატაროთ. თუ პრეზიდიუმს უწევთ ანგარიშს, მაშინ ილაპარაკებს სომეხი, პრეზიდიუმში სომეხი შეიყვანეთ, ილაპარაკებს ოსი,—პრეზიდიუმში შეიყვანეთ, შემდეგ თათარი და ა. შ. ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია უმცირესობის მიერ შემუშავებული წესებისა და მოითხოვს ეს წესები ხელ-ახლა დაუბრუნდეს საკონსტიტუციო კომისიას.

**პ. საყვარელიძე.** (ალიონ.) აქ ორი პროექტია, ერთი უმცირესობის, მეორე უმრავლესობის. უმცირესობას პროექტი აუცილებლად უარყოფილ უნდა იქნას, რადგანაც ის მიღებულ კანონს არღვევს.

ჩვენ არავისი ჩაგვრა არა გვაქვს მხედველობაში, სრული შეგნებით, დემოკრატიული პრინციპების მიხედვით ვიცავთ მიღებულ კანონს და უმრავლესობის მიერ წამოყენებულ პროექტს. ჩვენი სახელმწიფო არის ერთენოვანი სახელმწიფო, ის არ არის ფედერატიული. აქ ენათა თანასწორობის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. სამწუხაროა ის, რომ ეროვნულ უმცირესობებმა არ წამოაყენეს ქართულის მცოდნე კანდიდატები. მათ შეეძლოთ ეს, რადგანაც ბევრია სომხებში ქართულ ენის მცოდნეები. უმცირესობის წესები კი წარმოადგენს მალულად რუსული ენის გატარებას. ეს ჩვენის აზრით ყოვლად შეუწყნარებელია. როგორც დემოკრატია, ისე არისტოკრატია აღიარებს, რომ რუსულ ენაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ეს მარტო პრაქტიკის და უხერხულობის საკითხი არ არის. ჩვენ ამას დიდ პრინციპიალურ და მასთან სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ვაძლევთ. ჩვენ რუსულ ენას პრივილეგიებს ვერ მივსცემთ. ჩვენი წინადადებაა უარყოფილ იქნას უმცირესობის პროექტი და მიღებულ იქნას უმრავლესობის.

**ივანე გომართელი** ემხრობა უმრავლესობის პროექტს.

**ი. გობეჩია და დ. ჩიქოვანიც** მოითხოვენ უმცირესობის პროექტის უარყოფას.

**ხ დადიანი** ვრცელ სიტყვაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არც სოციალისტური თვალთახედვით, არც პრაქტიკულ საქმიანობის ინტერესით არ შეიძლება უმცირესობის მიერ წარმოდგენილ პროექტის მოწონება. ორატორი მოითხოვ უარყოფილს იქნას უმცირესობის პროექტი, ხოლო კომ. უმრავლესობის მიღებული.

ა. ხ.

(დასასრული იქნება)

# შეთქმულობა აფხაზეთში

**(მთავრობის ოფიციალური ცნობა)**

მთავრობას დიდი ხანია მოსდიოდა ცნობები, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრთა ნაწილი და უმთავრესად თავად აზნაურობის წრიდან, დაადგა რა აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და მთელი სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების ღალატის გზას, სცდილობდა აფხაზეთის ხალხის და მთელი სახელმწიფოს საქმეებში მოეხდინა ჩარევა, ჯერ ოსმალოთა და შემდეგ ალექსეევის ჯარით. უკანასკნელ დროში ამ ჯგუფის კადნიერებამ იქამდის მიაღწია, რომ ოლქის კომისარის მარღნიასა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოტუას მეთაურობით განიზრახეს მოეხდინათ პოლიტიკური გადატრიალება, ამ მიზნით მოახდინეს ადგილობრივ სამხედრო ძალთა, აფხაზეთის ცხენოსან ასეულის და მილიციის მობილიზაცია და შემოერტყენ აფხაზთა სახალხო საბჭოს და შეიყვანეს შენობაში შეიარაღებული პირები, ხოლო გარეთ ტყვიისმფრქვევლებით გამაგრდენ. ასეთ პირობებში, აფხაზეთის სახალხო საბჭო, მის შემადგენლობაში მყოფ მოღალატეთა შეიარაღებულ ძალდატანების გამო მოკლებული იყო საშუალებას ემოქმედა სამშობლოს საკეთილდღეოდ. საქართველოს რესპ. მთავრობამ მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრნი არ იყვნენ არჩეულნი იმ წესით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სოხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესთა ნამდვილ გამოხატულებას. 10 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა: 1, აფხაზთა სახ. საბჭო მის დღევანდელ შემადგენლობით დათხოვნილად ცხადდება, ახალი არჩევნები დაინიშნება თანახმად საყოველთა საარჩევნო პრინციპ სა. 2, არჩევნების საწარმოებლად ინიშნება ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან: ვარლამ შნრვაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ვასილი გურჯუა, ექიმი პაშალიდი და გიორგი შანშიევი ამ კომისიას ეძლევა უფლება თავმჯ. არჩევისა და საჭირო პირთა კოოპტაციით მოწვევისა. დროებით, ახალ საბჭოს არჩევამდე, სოხუმის ოლქის კომისრად ინიშნება ბენია ჩხიკვიშვილი, ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, რომელსაც ექვემდებარებიან სოხუმში ყველა მომქმედი ნაწილები. მისი დანიშნულ ადგილზე მისვლამდე უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილია სოხუმის რაზმის შტაბის უფროსი თუხარელი. 4, აფხაზთა სახ. საბჭ. დათხოვნის გამო, აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოტუას რწმუნებულება დასრულებულად ჩაითვალოს და აფხაზეთის საბჭოთა წარმომადგენლობა დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

5) აფხაზეთის სახ. საბჭოს ქონების დაცვა და ახალ საბჭოსადმი მათი გადაცემა მიენდო ახლად დანიშნულ ცენტრალ საარჩევნო კომისიას.

# მუშათა წერილები

**მუდმივი ჯარი და ჩვენი მთავრობის მოვალეობა.**

დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებისა, მას გაუჩნდა აუარებელი შინაური თუ გარეშე მტრები, რომელნიც ყოველ წამს ცდილობენ ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განადგურებას. და რომ ამ სურვილის ჩვენმა მტრებმა სისრულეში მოყვანა ვერ შესძლონ, საჭიროა ისეთი რეალური ძალის შექმნა, რომელიც შესძლებს ამ მტრების ალაგმვას.

უკანასკნელ ხანამდე ერთათ-ერთი რეალური ძალა ჩვენი რესპუბლიკისა იყო და არის სახალხო გვარდია. სახალხო გვარდიის თავდადებულ ბრძოლას უნდა მიეწეროს ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთათ-ერთი ტერიტორიაა, სადაც რუსეთის რევოლიუციით მოპოვებული პოლიტიკური და სოციალური უფლებებით დაუბრკოლებლივ სარგებლობს ჩვენი დემოკრატია. მაგრამ სახალხო გვარდია არის მოვალეობის შეგნებაზე დამყარებული თავისუფალი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც შესდგება მოწინავე მუშებისა და შეგნებული გლეხკაცობის მიერ, რომელიც ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის შემდეგ ეს საუკეთესო ნაწილი მუშათა კლასისა თავის ფაბრიკა-ქარხნებს უნდა დაუბრუნდეს. მაშასადამე საბოლოოთ რესპუბლიკის დამცველობას სახალხო გვარდიას ვერ დავაკისრებთ.

საჭირო შეიქნა სხვა გზის გამონახვა რესპუბლიკის საქმის დაცვაში და ამისთვის არსებობდა ორი გზა: პირველი საყოველთაო სახალხო მილიცია, ან მუდმივი ჯარის დაარსება. მიუხედავათ იმისა, რომ სოციალდემოკრატიულ პარტიას, რომელიც სათავეში უდგია ჩვენს რესპუბლიკას თავის პროგრამაში სახალხო მილიციის შექმნა აქვს დევიზათ დასახული, ეს დევიზი ჩვენ ჯერ-ჯერობით უარვყავით, რადგანაც სახალხო მილიციის შექმნა მოითხოვს ათეული წლების მუშაობას და ამასთანავე საჭიროა დემოკრატიის კულტურულათ მაღალ საფეხურზე დგომა, რაიც ჩვენ დემოკრატიას ჯერ კიდევ აკლია. ამისათვის სასურველათ ვსცანით დღევანდელ პირობებში სანამ საერთაშორისო ძალთა განწყობილება ჩვენი რესპუბლიკის სასარგებლოთ შეიცვლებოდეს შევქმნათ მუდმივი ჯარი—ამიტომაც იყო, რომ საქართველოს პარლამენტში ამ კითხვის გადაჭრის დროს ჩვენმა ფრაქციამ მხარი დაუჭირა მას.

თუმცა საქართველოს პარლამენტმა ერთხმათ მიიღო მუდმივი ჯარის შექმნის რეზოლიუცია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენ და ნაციონალისტებს სულ სხვადასხვა ნაირათ გვესმის ამ მუდმივი ჯარის მნიშვნელობა. ჩვენ გვსურს. რომ ჩვენი ჯარი იყოს ნამდვილი დამცველი ჩვენი რესპუბლიკისა და თავისუფლების, ხალხის შვილი ხალხს იცავდეს და არა გაბატონებულ კლასებს. ნაციონალისტების სურვილია ეს მუდმივი ჯარი თავიანთ ბრმა იარაღათ გამოიყენონ და ის დემოკრატიის უფლების ასახდელათ მოიხმარონ. და რომ ნაციონალისტებზე ასეთი შეხედულება სწორია ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: გავიხსენოთ ახლო წარსული რუსეთის რევოლიუციისა, როდესაც გენერალმა კორნილოვმა მოხსნა სამხედრო ფრონტზე თავისი ჯარები და ის პეტროგრადზე გასალაშქრებლათ წაიყვანა, რომ ჩამოეგდო მაშინდელი დროებითი მთავრობა და ძველი წესწყობილება აღედგინა. ან კიდევ რუსეთის მუდმივი ჯარის მოქმედებიდან, როდესაც ეს ჯარი სათავეშივე კლავდა ევროპაში ხალხის მოძრაობას და ამისათვის რუსეთს სრულიად ბუნებრივად ეწოდა „ევროპის ჟანდარმი".

აი სწორეთ ამ შეხედულებებიდან გამოდიოდა სოციალ-დემოკრატია, როდესაც მუდმივი ჯარის შეცვლას სახალხო მილიციით მოითხოვდა. ჩვენ ვამბობდით რომ თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არსებულ წეს-წყობილების მეოხებით მუდმივ ჯარს გაბატონებული კლასები ხალხის საწინააღმდეგოთ იყენებენო და ეს ანბანური ჭეშმარიტებაა მეტადრეამ მსოფლიო ომის შემდეგ. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკაში სანამ არსებობს დღევანდელი მთავრობა, არავის არ მისცემს ნებას, რომ ჩვენი ჯარი ვინმე ავანტიურისტის ბრმა იარაღი გახდეს და ის ხალხის წინააღმდეგ აამხედროს.

საქართველოს მთავრობამ შეუდგა დემოკრატიულ ჯარის შექმნას, მაგრამ ყველასათვის ცხადია, გარდა ჩვენი მყვირალა ნაციონალისტებისა, თუ დღევანდელ ობიექტიურ პირობებში რა ძნელია ასეთი დიდი ორგანიზაციის მოწყობა და სათანადო დონეზე დაყენება. ამ ორგანიზაციის შექმნას აუარებელი სიძნელე ელობება წინ, მაგრამ მე მკითხველის ყურადღებას ამ ჟამათ ერთ გარემოებას მივაქცევ, რომელსაც კარგათ უნდა დაუფიქრდეს ჩვენი დემოკრატია. ეს არის ჩვენს ჯარში ხელმძღვანელი წრეების მოქმედება, რომელთა მოქმედებაზე დამოკიდებულია სამხედრო ძალის შექმნა.

დიდი ნაწილი იმ აფიცრებისა, რომელიც დღეს ჩვენს ჯარს სათავეში უდგიათ, აღზრდილი არიან ნიკოლოზ მეორის რეჟიმის დროს და გაჟღენთილი არიან ბიუროკრატიზმით. ამასთანავე ჩვენ ვიცით, თუ ჩვენი ხალხის რომელი კლასი ეტანებოდა იმ დროს ჩინ ორდენების დამსახურებას. ეს გახლდათ აწ გაუქმებული ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელთა დიდი უმრავლესობა მზათ იყო სამშობლოსთვის ეღალატნა, ოღონდ მის პირად კეთილდღეობას რაიმე შემატებოდა. ასეთი მაგალითები მრავლათ მოიპოვებიან საქართველოს ისტორიაში, რომლის ჩამოთვლა აქ ზედმეტათ მიგვაჩნია.

ასეთი ტიპის ვაჟბატონები დღესაც მრავლათ მოიპოვებიან ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც სიტყვით სამშობლოს სიყვარულზე გაიძახიან, მაგრამ საქმით მზათ არიან მას უღალატონ და ის გარეშე მტერს გააქელვინონ. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ საგრძნობი ნაწილი ქართველი აფიცრებისა მსახურებენ გენერალ ალექსეევის რეაქციონურ ლაშქარში, იმ ალექსეევის, რომელიც ჩვენს მთავრობას აგრესიულ მოთხოვნილებებს უყენებს და საქართველოზე გამოლაშქრებით იმუქრება. მაგრამ ყველაზე უფრო სავალალო ის არის, რომ ასეთი ვაჟბატონები ჩვენი ჯარის ხელმძღვანელებშიაც მრავლათ მოიპოვებიან. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ დღევანდელ ჩვენს ჯარში მომქმედი აფიცრების დიდი უმრავლესობა შეგნებულათ საბოტაჟს აწარმოებს და არ ასრულებს თავის მოვალეობას და მით ხელს უშლიან ჩვენს მთავრობას დროზე შექმნას რესპუბლიკისა და თავისუფლების დამცველი ჯარი. და ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის ღალატი არა მარტო ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ მიმართული, არამედ ღალატია მთელი საქართველოს დემოკრატიის, რასაც სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს დემოკრატიულმა მთავრობამ.

პირველ ყოვლისა უნდა დაარსდეს უმაღლესი სამხედრო სასამართლო დაუყოვნებლივ, რომელმაც სასტიკათ უნდა დასაჯოს ის თავხედი ვაჟბატონები, რომლებიც შეგნებულათ ხელს უშლიან ჩვენს მთავრობას მუდმივი ჯარის მოწყობაში. მეორეს მხრით საჭიროა უმაღლესმა სამხედრო მთავრობამ დიდის ყურადღებით მოეპყრას ჯარის უფროსების დანიშვნის დროს იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ ჯარის უფროსათ დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც დემოკრატიის წრიდან არის გამოსული და ხალხის კეთილდღეობა აინტერესებს. ეს შესაძლებელია მით უფრო, რომ სამხედრო მთავრობის განკარგულებაში დიდძალი აფიცრობაა, რომლის მეათედი ნაწილიც კი ჩვენი ჯარის მოთხოვნილებას საესებით დააკმაყოფილებს. ამასთანავე უნდა გაძლიერდეს თვითშეგნების შეტანა ჯარში. აი აქეთკენ უნდა იყოს დღეს ჯარის საკითხში ჩვენი მთავრობის უმთავრესი ყურადღება მიქცეული.

ქართველმა დემოკრატიამ კი კარგათ უნდა გაითვალისწინოს ამ საბოტაჟნიკ ვაჟბატონების მოღალატური მოქმედება და შესაფერი მსჯავრი უნდა დასდოს როგორც ამ ვაჟბატონებს, ისე იმ მყვირალა ნაციონალისტების, რომლებიც ამ საბოტაჟნიკების წარმომადგენლებათ ითვლებიან საქართველოს პარლამენტში და სიტყვით ყოველ გზა-ჯვარედინზე სამშობლოს თავისუფლებასა და სიყვარულზე გაიძახიან, მხოლოდ საქმით კი ძირს უთხრიან მის არსებობას.

ს. ელიაძე.

# დაშნაკელების ორპირობა

როგორც ვიცით, ეს რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც სომხის ხალხს, როგორც ოსმალეთში, აგრეთვე ამიერ კავკასიაში, ჰპატრონობს სომხური ძლიერი პარტია „დაშნაკციუტიუნად" წოდებული. თუ რა ნაყოფი გამოიღო დაშნაკელების ავანტიურისტულმა პოლიტიკამ სომხის ხალხისთვის, რომელსაც დღესაც საუბედუროთ ვერ დაუღწევია თავი კლერიკალურ - ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ ფანატიზმისთვის, ყველასათვის აშკარა და დღესავით ნათელი უნდა იყოს. შეუძლებელია დაუკვირდე დაშნაკელების საქმიანობას ვითომც და ერის საკეთილდღეოთ მიმართულს, რომ წამსვე თვალწინ არ დაგიდგეს კრილოვის ცნობილი დათვი, რომელმაც თავისებური, ე. ი. დათვური სამსახური გაუწია თავის მეგობარს, რაც ვერ შეუგნიათ მხოლოთ თვითონ დაშნაკელთ და მგონია რომ ვერც შეიგნებენ...

სწორეთ ეს დაშნაკელების დათვური სამსახური თავის ერისადმი მაიძულებს ვსთქვა, რომ ისტორიამ სომხის ხალხი არ დააკმაყოფილა მარტო გარეშე საშინელ და დაუნდობელ მტრით ოსმალეთით,—მისი დესპოტიური მართვა-გამგეობით, მან (ისტორიამ) სომხის ხალხი დააჯილდოვა შინაური ოსმალეთზე უარესი მტრით, „დაშნაკციუტუნი"-ს სახით.

ნეტავი რა დანაშაული მიუძღვის მრავალ ტანჯულ სომხის ხალხს ისტორიის წინაშე?..

როგორც ვიცით, ველურ ოსმალეთის ხიშტმა მიწასთან გაასწორა ოსმალეთის სომხეთი. სომხის ხალხი ფიზიკურათ თითქმის განადგურებულია. ოსმალეთის ველურ ხიშტს გადურჩა მხოლოდ რამდენიმე ათასი ოსმალეთის სომეხი, რომელთაც თავს გაქცევით უშველეს და ამიერ კავკასიის ი ის სოფლები, რომელთაც ბედმა არგუნა იმ ადგილებში ცხოვრება სადაც ოსმალეთის ხიშტმა ველარ მიაწვდინა თავისი შხამიანი წვერი. ერთი ასეთი ადგილთაგანი სომხებისთვის არის საქართველო. ყველამ კარგათ იცის რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ იხსნა საქართველოში მცხოვრები და ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები ოსმალეთის ხიშტებისაგან. და თუ საქართველოს საზღვრებში დარჩენილი სომხის ლტოლვილები განიცდიან გაჭირვებას, ეს სულაც არ აიხსნება იმით, რომ ლტოლვილები იმყოფებიან არა მონათესავე საქართველოში, ჩვენ ვიცით, რომ არარატის რესპუბლიკის ლტოლვილებს [illegible] როგორიც საქართველოში [illegible] ვილთ. [illegible] ფებიან — საქართველოში — ქართველი ლტოლვილები. (კურსივი ყველგან ჩვენია). როგორც მკითხველი ჰხედავს საქართველოს დამოუკიდებლობის გამაგრება-გამტკიცებაში დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, როგორც საქართველოს მკვიდრი სომხები აგრეთვე ლტოლვილები. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ? ჩვენ ვხედავთ რომ ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც სომხის ერის ინტერების დაცვა თავის საკუთრებათ გამოუცხადებია, დღიდან დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს არსებობისა, ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მას ყოველგვარ მარგალიტებით აჯილდოვებს. საკმარისია რომელმე სომეხმა ქვა ფეხი წამოჰკრას, რომ უმალვე სომხის დაშნაკელები ყველა ამაში საქართველოს დამოუკიდებლობის და მის მართველ წრეებს დასდებენ ბრალს...

გარდა ამისა დაშნაკელები ჩვეულ არიან ორპიროვან იანუსობას. ყველას კარგათ ახსოვს ის დრო, როდესაც თფილისის დაშნაკელები ერთი პირით ადგილობრივ მენშევიკებს ეფერებოდნენ ძმობას, ხოლო მეორე პირით ბაქოს ბოლშევიკებთან სჩარხავდნენ თავის „საქმესა საგმიროს".

ეს ვაჟბატონები არც ეხლა ღალატობენ თავის ძველ ტრადიციას: ერთი პირით საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართველ დემოკრატიას შველასა და ორგანიულ მუშაობასა ჰპირდებიან საქართველოს საკეთილდღეოთ, მეორე პირით განაგრძობენ თავისებურ ღვარძლიან წერილების თხზვას გაზეთ „ჰორიზონის" ფურცლებზე საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ. აკვირდები კვლავ ამ ორპიროვან იანუსების საქმიანობას და ძალა უნებურად ათასნაირი ეჭვები გებადება გულში თითქოს დაშნაკელებს არ ესიამოვნებათ ის მოვლენა, რომ საქართველოს, როგორც მკვიდრი სომხები, აგრეთვე ლტოლვილები გადაურჩნენ იმ ცეცხლს რომელმაც შთანთქა თითქმის სომხის ერის ფიზიკური არსებობა. თუ ეს ასე არ არის, მაშ რას მიეწერება ის, რომ იმ დროს, როდესაც გვპირდებიან ეროვნულ საბჭოში ორგანიულ მუშაობას, გაზ. „ორიზონის" მე-203 ნომერში მოთავსებული შურით და ღვარძლით აღსავსე მოწინავე წერილი, რომელშიც ეხებიან რა საქართველოს ეროვნულ პარლამენტში მყოფ სომეხ წარმომადგენლების მოვალე მოქმედებას დასძენენ რომ—„ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ შეუძლებელია თფილისში მშვიდათ მუშაობა, როდესაც იქ ხალხი (ლტოლვილებზეა ლაპარაკი) იხოცება მთავრობის პოლიტიკის მიზეზით (კურსივი ჩვენია ავტ.) და სხვა?..

მაგრამ კლერიკალურ - ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის მატარებელი დაშნაკელები რაღას დაშნაკელები იქნებია თუ დრო გამოშვებით, სისტემატიურათ არ დაანთხევენ ზოოლოგიურ-შოვინისტურ შხამს, რაც მათ ბატონობას ფანატიკოს სომხის ხალხში ერთიორათ ამაგრებს.

ჟილა.

# ახალი ამბები

ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის კრება შესდგება 14 ოქტომბერს, სად. 6 საათზე. ყველას დასწრება აუცილებელია.

◆ **ქართველები ბაქოში.** სომხური გაზ. აღნიშნავენ, რომ ბაქოს აღების დროს ქართველები დიდ დახმარებას უწევდენ სომხებს. შავ ქალაქში მთელი ლაზარეთი გადაარჩინეს. სომხებს დახმარებას და მფარველობას უწევდენ პოლონელები და ადგილობრივი ოსმალებიც.

◆ **ქართული ენა გზათა სამინისტროში.** ორშაბათიდან გზათა სამინისტროში მთელი საქმეების წარმოება ქართულ ენაზე იქნება.

◆ **ნავთი.** გზათა სამინისტროს რწმუნებულმა ინჟ. ტოლსტონოგოვმა აცნობა გზათა სამინისტროს, რომ ბაქოში ადგილობრივი ნავთი ღირება 5 მანეთი ფუთი, საბაჟო გადასახადი ფუთზე 3 მ.; გადაზიდვა დაჯდება 2 მანეთი 60 კაპ. დაწმენდილი ნავთი საქართველოს დაუჯდება ფუთი 14 მან. 60 კაპ. ხოლო დაუწმენდავი 10 მან. 60 კაპ.

**სამხედრო მინისტრმა** წინადადება მიეცა თფილისის მაზრის სამხედრო უწყების უფროსს ჩამოსულ სამხედრო ტყვეებს მიაცეს თავშესაფარი და ასაზრდოვოს ისინი ჯარის ნაწილებში გაგზავნამდე თუ ისინი ჯარში გაწვეული არიან, ვინც ამ დროს გადაცილებულია და ამასთანავე სხვა სახელმწ. ქვეშევრდომნი არიან გაგზავნილ იქნებიან თავიანთ სამშობლოში. ტანთსაცმელი მიეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომთ.

◆ **გზათა მინისტრმა** მიმართა ფინანსთა მინისტრს, რომ ყოველ დღე რკინის გზის საჭიროებასათვის გადადებულ იქნას 200,000 მანეთი, ვინაი-

ლან რკინის გზის შემოსავალი, მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შემდეგ, ხარჯს ვერ ფარავს.

**საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭომ** დაადგინა სომხების დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში მთავრობასთან, ჯამალიანს, 60,000 მანეთი მისცეს სესხის სახით სომეხ სამხედრო ტყვეების და დასახიჩრებულ მეომართათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

**ქართულ წითელი ჯვრის საზოგადოებამ** დაადგინა გახსნას თფილისში თავშესაფარი 100 ობოლ ბავშვთათვის. მათი წლოვანება უნდა იყოს 3—7 წლამდე, რომელიც უპატრონოთ არიან დარჩენილნი.

**მატარებლების მოძრაობა მცხეთობას.** საქ. რესპ. რკ. გზ. სამმართველო აცხადებს, რომ მცხეთობას 14 ოქტომბერს (1 ოქტ. ძვ. სტ.) ტფილისიდან მცხეთამდე ივლის 7 წყვილი მატარებლებისა. თფილისიდან გავა პირველათ დილის 7 ს. მერე თანდათანობით: 7 ს. და 50 წ.; 11 საათზე; შუადღის 12 ს. 28 წუთზე; 1 ს. და 50 წ.; 3 ს. და 25 წ.; საღამოს 6 ს. და 50 წ: მცხეთიდან ტფილისისკენ გამოვა: დილის 9 ს. 11 წ. და 2 წ.; შუადღის 12 ს. 31 წ.; 2 ს; 3 ს. 28 წ.; საღამოს 5 ს. და საღამოს 8 ს. 20 წ. ამასთანავე ცხადდება, რომ მატარებლები კვირას, 13 ოქტომბერსაც გავა აქედან ნაშუადღევის 3 ს. და 25 წ. და მცხეთიდანაც გამოვა საღ. 5 საათზე.

**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, მისცეს მათ სახლი და გადადებულ იქნას აუცილებელი ხარჯების დასაფარავათ 50,000 მანეთი.

**სამტრედიის ქალაქის თავი** პავლე სთხოვს გზათა მინისტრს, რომ სამტრედია-ფოთამდე რიონზე ნაოსნობის მომწყობ კომისიაში შედიოდეს მათი წარმომადგენელიც.

**ბეჭვდითი სიტყვის პროფესიონალური** კავშირი აუწყებს წევრთ, რომ 14 ოქტომბერს არავითარი უქმე არ არის.

**გაზ. „სოციალდემოკრატი“.** ხვალიდან განახლდება გამოცემა საორშაბათო გაზეთ „სოციალდემოკრატის“. თანამშრომლებნ ა. თუმანოვი, მ. სმირნოვი, ა. ესსენი, დ. პოპოვი, დ. გეპშტეინი და სხვ.

**შედეგები უმუშევართა აღწერისა.** სამი დღის განმავლობაში ქ. თფილისში ხდებოდა უმუშევართა აღწერა. რეგისტრაცია უყვეს 3254 კაცს. შრომის ბირჟა დეტალურად ამუშავებს ყოველივე მასალას ამის შესახებ. ყველა დამუშავებული მასალები გადაეცემა შრომის სამინისტროს, რომელიც გამონახავს სამუშაოს. რადგან ბევრი უმუშევარი არ გამოცხადდა აღწერის დროს, ამიტომ შრომის ბირჟა მოუწოდებს მათ ჩაეწერონ შრომის ბირჟაში. (მადათოვის კ. № 2 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ). ჩაწერა მოხდება ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა 9—3 დე.

**სიღნაღის ქალაქის საბჭოს** თავმჯდომარემ ი. კრაწაშვილმა ინახულა შინაგან საქმეთა მინისტრი და მოელაპარაკა მალაანის სადგურიდან სიღნაღის რკინის გზის ტოტის გაყვანის შესახებ. მინისტრმა სრული დახმარება შეჰპირდა. ინახულა აგრეთვე სამიწათმოქმედო მინისტრი და მოელაპარაკა სიღნაღის განაპირა უბნის ჰოტორ-ნუკრიანის მცხოვრებთათვის მიწის მიცემის შესახებ. მინისტრმა განუმარტა, რომ ჰოტორ-ნუკრიანელები მიიღებენ მიწებს ისე, როგორც სხვა სოფლის მიწის დამუშავენი.

**ქართულ გერმანული კულტურული საზოგადოება.** ოთხშაბათს, საღამოს სრულს 8 ს. შესდგება კრება ქართულ-გერმანული საზოგადოების გამგეობისა. წევრები ვალდებულნი არიან აუცილებლათ დაესწრონ, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ალექსანდრეს ბინაზე (ბარიათინის ქუჩაზე).

**აფიცერთა კრება.** დღეს, კვირას, საღამოს ხუთ საათზე სასახლეში სოც.-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის ოთახში დანიშნულია კრება ბბ. აფიცრებისა ფრიად საჭირბოროტო საკითხთა გასარჩევად. კრებაზე დასწრება შეუძლიათ და სავალდებულოც არის იმ აფიცრებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მანდატებს სოც. დემ., სოც.-ფედ. და სოც. რევ. პარტიის წევრობისას.

**დატუსაღება.** 12 ოქტომბერს მილიციამ შეიპყრო საეჭვო ეტლი, რომელსაც 20 ათასი მანეთის ღირებული ტანსაცმლები მიქონდა. კომისარმა შეიპყრო აფიცრები ჯაჯანოვი და წერეთელი, რომელთაც ეს ქურდობა ბრალდებათ.

**გაძარცვა.** 11 ოქტომბერს ღამის 9 საათზე ვ. პოლონსკის და ნ. გვარამაძის ბინიდან ყორღანოვის ქ. № 11, ბოროტმოქმედებმა წაიღეს 20,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

**დეპეშა „სოფელ ფიჩხის ჯვარის** მცხოვრებნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავის ერთგული მასწავლებლის ტარასი დავითისძე თავართქილაძის უეცრად გარდაცვალების გამო“.

**გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** უფლის-ციხემდე დავკარგე საფულე, სადაც ბევრი ჩემთვის საჭირო დოკუმენტები იყო. მპოვნელს ვსთხოვ ფული დაიტოვოს და დოკუმენტები გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: უფლისციხე, სადაგაშვილს ან „ერთობის“ რედაქციაში.

**კვირას 13** ღვინობითვეს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში“ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით გაიმართება მორიგი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „შენი ჭირიმე“ შ. დადიანისა და „მათიკოს“ მესამე მოქმედება. ფასები სახალხოა.

**წარმოდგენა** კვირას 13 ოქტომბერს ორთაჭალის მუშათა კლუბში წარმოდგენილი იქნება სომხური ენაზე კომედია 3 მოქმედებათ „ხანუმა“. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს ვაჟთა მეექვსე გიმნაზიაში, დილის 11 საათზე მოხდება თბილისის ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული კითხვები. ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

— დღეს დილის 11 საათზე წრის ბინაზე (მიხეილის ქ. № 102) სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია საზოგადო კრება. რადგანაც ეს კრება მეორედ არის დანიშნული, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს კრებაზე განსახილველია. გასულ სეზონის ანგარიშები, ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის არჩევნები.

## გორის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზ. საყურადღებოდ

**ამხანაგებო!** თანახმად სოც.-დემ. მუშათა პარტიის გორის მაზრის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, რომელიც გამოტანილ იქნა 4 ოქტომბრის კრებაზე, გაცნობებთ შემდეგს:

ჩვენ პარტიულ მუშაობის გამოცოცხლებას მოყვა პარტ. ორგანიზაციების აღდგენა და გაძლიერება, ამხანაგები გაათკეცებული ენერგიით დაეწაფენ ამ დიად საქმეს—პარტიულ ძალების დარაზმვას—ჩვენი მაზრის ცენტრის და სასოფლო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ამხანაგებო!** პარტიული მუშაობა საფუძველია ყველა ჩვენი დანარჩენი საქმიანობისა, მასზეა დაყრდნობილი ჩვენი ხალხის გამოფხიზლება და კულტურული ზრდა-განვითარების გზაზე შედგომა; პარტიის სიძლიერეზეა დამოკიდებული ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს და მთელი ხალხის თავისუფალი არსებობა და მომავალი, ამიტომაა, რომ პარტიის და პარტ. ორგანიზაციების ზრდის საკითხი არის, ჩვენი დემოკრატიის ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

ცენტრალურმა კომიტეტმა 4 ოქტომბრის კრებაზე დაადგინა—**მოწვეულ იქნას სამაზრო პარტიული მეორე მორიგი ყრილობა ქ. ხაშურში, ხუთშაბათს, 17 ოქტომბრისთვის.**

ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენ სამაზრო პარტიულ ცხოვრებისთვის, ის იქნება ჩვენ პარტიულ ძალთა გადახედვა—შეფასება. ამასთანავე ეს ყრილობა იქნება სამზადისი საქართველოს დიდი პარტიულ ყრილობისთვის, რომელიც დანიშნულია თფილისში 3 ნოემბერს.

ამიტომ გორის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების ცენტრი, მოუწოდებს ყველა პარტ. ორგან. გორის მაზრ., რომ ამ სამაზრო ყრილობაზე, ქ. ხაშურში აუცილებლათ გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები (წარმომადგენლები).

არჩევნების წესი შემდეგია:

ა. თითეული 50 წევრი ორგანიზაციებისა აგზავნის ყრილობაზე თითო დელეგატს.

ბ) უკე თუ რომელიმე დამოუკიდებელ (ცალკე არსებულ) ორგანიზაციას ყავს 50 წევრზე ნაკლები, მაგრამ არა ნაკლებ 30 ის, ისიც აგზავნის 1 დელეგატს. 30 წევრზე ნაკლებიინი ორგანიზაციები უერთდებიან მახლობელ ორგანიზაციებს და საჭირო ნორმის მიხედვით მათთან ერთად ირჩევენ დელეგატს.

დ) თუ კი შეერთება ვერ აღწევს მაინც საჭირო ნორმას, მაშინ ასეთ ორგანიზაციებს აქვთ უფლება გამოგზავნონ დელეგატი ყრილობაზე სათათბირო ხმით.

ყრილობა გაიხსნება 17 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ხაშურის რკინისგზის კლუბში, დელეგატებისთვის გამზადებული იქნება საჭირო ბინა.

ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულია ყრილობის შემდეგი დღიური წეს-რიგი:

1) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.

2) მიმდინარე მომენტი: შინაური და საგარეო მდგომარეობა.

3) მოხსენებები ადგილებიდან.

4) სამაზრო ერობის თვითმართველობა (მუშაობის საერთო გეგმა).

5) საქართველოს პარტიული ყრილობის დღიური წეს-რიგის საერთო განხილვა.

6) პარტიულ ორგანიზაციების გამრავლება გაძლიერება და თავის მოყრა.

7) სამხედრო საქმეები: ა) სახალხო გვარდია, ბ) ჯარის მობილიზაცია, გ) სოფლებში იარაღის აყრა და დეზერტირობასთან ბრძოლა.

8) კულტურული მუშაობა სოფლად.

9) პროფესიონალური ორგანიზაციების მოწყობის საქმე მაზრის, ქალაქ. და დაბებში.

10) მიწის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები.

11) ადმინისტრაციის მოწყობის საქმე სოფლად.

13) ცენტრალურ კომიტეტის არჩევნები.

ყრილობის დღიურ წეს რიგში წამოყენებულ საკითხების შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ ადგილობრივი და ზოგიერთი თფილისელი მოწინავე ამხანაგები.

**სოც.-დემ. მუშ. პარტიის გორის მაზრის ცენტრ. კომიტეტი.**

## დუშეთის მაზრის ცხოვრებიდან

„მო ყური მიგდეთ, მოგითხრობთ ჩემის ტანჯვისა ამბავსა“. დიახ, წამება იყო ჩემთვის გუდა-მაყრის ხეობაში მგზავრობა. გუდამაყრის ხეობის სოფლები პატარებია. ბევრი მხოლოდ 10—12 კომლისაგან შესდგება. ამჟამად ხალხს ძნელად მოასწრობთ სახლში. რიგი სამკალ-სათიბათაა წასული. რიგი ცხვარშია. აქაურებისთვის მთავრობა ბუნდოვანებითაა მოცული. ერთი სოფელი ვერა ვნახეთ, რომ სცოდნოდა მთავრობის ვინაობა. არც გასაკვირალია. მათ არას აცნობებს არც ადმინისტრაცია, არც სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მთა დავიწყებულია... დავიწყებულია ყველასაგან და იგონებენ მაშინ, როცა რამე უნდა ჩამოართონ. მიცემით კი ჯერ არავის არა მიუციარა. მათი მეგობრები ძველებურად ვაჭრები არიან. ჩამოახწევს რაიმე ნაირად გუდამაყრელი ფშაველი ფასანაურში და შეეგებება მას ნათლიმამა ვაჭარი. დაიწყობა ალერს-ქასქანჯიელობა. ფშაველი „ნათლიმამას“ მოართმევს ძღვენს და „ნათლიმამაც“ არ დაიშურებს არაფერს და საიდუმლოთ გაუმხელს: ნათლიჯან! შენ მარილი გდომებია. სიყმეს გეფიცები გასაყიდი არა მაქვს, ერთი ორი ფუთი საკუთარი საჭიროებისთვის მქონდა გადარჩენილი, მაგრამ შენ აბა როგორ დაგიჭერ. წაიღე, მოიხმარე, ოღონდ ნურავის გაუმხელ, რომ ჩემგან შეიძინე. ამგვარათ ნათლიმამა მამასისხლათ მიჰყიდის ოდესღაც გროშებათ შეძენილს მარილს და თანაც დაუმადლის. ასეთივე საიდუმლო, სამეგობრო საუბარი გაიმართება სხვა მთიულთანა და ფშაველთან. უკანასკნელნიც ნეტარების ცრემლმორეულნი ჰბრუნდებიან სახლში თბილი გრძნობებით, რომ „ღვთისნიერი ხალხი კიდევ მოიპოვება ქვეყნათ, მით უფრო აუყუჩდებათ ხოლმე გული საწყალ მთიულებს, რომ მათმა ნათლიმამამ იცის რა სიმებს შეეხოს მათსაც და ამიტომ ლაშქარის წმინდა გიორგიდან მოკიდებული თამარ მეფით გათავებული ყველას სახელს მოიხსენიებს და თან მოიჩივლებს, რომ სბმშობლო ჩვენი საძიძგნადა აქვთ გადაქცეული საქართველოს მტრებს. ქართველ ხალხს ერთმანეთში არა აქვს რა სამტრო. რა უყოთ, თუ მთელი სიმდიდრე, მთელი დოვლათი მთისა ხელთ უცვივათ ქართველ ვაჭრებს. შორს ხომ არ მიდის, „ლუკმა გაგვარდეს, ჯამში ჩაგვარდესო“.

აი, რა მეგობრები ჰხვდება მთიულფშაველს და ვისგანა ჰღებულობს განათლებას. მისთვის სხვა ქვეყანა აღარ არსებობს. მას ისევ გაურკვევლად აქვს საქართველოს ცხოვრება წარმოდგენილი, როგორც მე სპარსეთში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებისა.

რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა მხარეში პროპაგანდისტიც კი უცნაური რამ მოვლენა ეგონებათ და უცხო თვალით დაგვიწყებენ ყურებას.

ეს სიუცხოვე ბევრგან მტრულ განწყობილებაშიაც გადადის, ვინაიდან პროპაგანდისტი გვარდიელისგან ვერ გაურჩევიათ და უკანასკნელი ხომ ის სფინქსია, რომელიც აშინებს მათ თუმცა სისწორით ვერ გაუგიათ: რაში მდგომარეობს მისი საშიშროება.

ვისაც ხშირად უხდება სამხედრო გზაზე სიარული, იცის, რომ გვარდია ის საბედისწერო ჯარია, რომელმაც კავკავის გზა შეჰკრა, თავიდან წამოუარა, მოიმწყვდია ხალხი და ადგავს ახლა მას მონობის ბორკილებს თავად-აზნაურთა ბატონობის აღსადგენად.

ერთ ადგილას მე და ჩემი ამხანაგი გვარდიელებად მიგვიღეს და ასე მოგვმართეს.

— ხალხო, რას იხოცავთ თავს მაგოდენა უწყალო თრევით. განა ჰღირს ეგრე გამწარება ჯამაგირის გულისთვის? ან რა იმდენსა ჰღებულობთ ი ვერანა თავადებისაგან. თქვენ და თქვენი ღმერთი, მიაფურთხეთ ეშმაკს, დაანებეთ თავი მაგ უკეთურს საქმეს, ხელი თქვენ არ გაკლიათ და ფეხი. დაუბრუნდით სოფელს და პატიოსანი შრომით იცხოვრეთო.

ვერ იქმნა და ვერ დავარწმუნეთ ჩვენი შემცოდებელნი, რომ მოსყიდულნი არ ვიყავით და არც საუგო საქმეს ვეწევით.

გუდამაყარის ხეობაში მგზავრობისას ცხენი ვერ ვიშოვეთ და თუმცა წვიმდა და ხევი ადიდებული მოხუოდა იძულებული ვიყავით ფეხებით გვეტოპნა და ფონები გვეძებნა.

გზა უფრო გაგვიძნელდა, როცა გუდა-მაყარის ვიწრო ხეობაში შემოუდექით.

„ვიწროა გუდა-მაყარი,

განა კახეთის ველიაო—ამბობს ხალხი და მართლაც ეს ხევები ასეა ერთიმეორესთან დაახლოვებული, რომ გგონია ვით მოსიყვარულე მიჯნური ჰლამობენ ერთმანეთთან შეერთება-შეწებებასო— მაგრამ ვით უძლიერესი გრძნობა სიმორცხვე აშორებს შეყვარებულებს ისე მსწრაფად მომსრბელი წყალი ეხეთქება მათ და არ აძლევს შეერთების ნებას.

ადრევ ამ ხეობაზე ყოფილა სამხედრო გზა გაყვანილი, ახლა კი ბევრგან კვალიც არ ამჩნევია.

ძალიან დიდ მანძილზე სულ ციცაბო მთებია, დიდი ბედენაა თუ საცალფეხო ბილიკი იშოვნე. ვ. ჯუღელის გვარდიას ტყვიისმფრქვეველებით ამ ქედზე გადმოუვლია. რა წვალება და ტანჯვა უნდა განეცადათ, ვიდრე ამ ხეობას გასცილდებოდენ. საკმარისია ოდნავ დაგისხლტეთ ფეხი რომ დაჰქანდეთ კლდეზე და წყალში გადაიჩეხოთ.

როგორც მოხევეებმა ისე გუდამაყრელებმა არ იციან ცხვარს რა უშველონ. ყიზლიარისკენ ველარ გაჰრეკენ და თუ ახალი საძოვარი არ იშოვეს საქართველოში—თქვენი მტერი მთლად დაუწყდებათ სიცივისაგან ფარები.

ამ ხევ ხუვებში სიარულისას შემოგვიღამდა სწორეთ იმ ადგილას, სადაც ნაცნობი არავინ გვყავდა და მივმართეთ გზის პირად მცხოვრებს მედუქნეს მივეღეთ ღამის გასათევად. იგი აიმრიზა, გულში გაივლო „ყაჩაღები არიანო“ და ბოდიშით გამოგვისტუმრა „ბინა არა მაქვს, ნუ დამემდურებითო“. გულდაწყვეტილი და მუხლებში არაქათ გამოლეულნი გავუდექით გზას.

საცოდავი ბობღვა-ხოხვით ავედით ერის მაღალ მთაზე, რომელზედაც გაშენებული იყო პაწია სოფელი მაქართა. არც ისინი გვღებულობდენ. „ღამით ყვავმაც იცის თავისი ბინა და თქვენ რა გაწანწალებთო“.

პირი მზის სალოცავი, ლომისის წმინდა გიორგის მადლი და კიდევ სხვა მრავალი ხატების ფიცი დაგვჭირდა იმის დასამტკიცებლად რომ ჩვენ ვიყავით მხოლოდ სოფლის პროპაგანდისტები და სხვა არავინ.

ბოლოს როგორც იყო, შევიდნენ ჩვენს ცოდვაში და შეგვიშვეს სახლში. აქაც რომ კარი გამოეგულათ ჩვენთვის-თქვენი მტერი რაც დღე ჩვენ დაგვადგებოდა იმ საშინელს თავსხმაში.

**დ. თურდოსპირელი.**

## ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმ. პირველი ყრილობა

ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა. ადრევე მთლათ გაივსო თეატრი, რომლის შესავალს ამშვენებდა ყვავილებისაგან შემდეგი წარწერა: „გაუმარჯოს ერობას“. სრულ 5 საათზე კრება იხსნება. თავმჯდომარის ალაგს იჭერს აღმასრ. კომ. თავმჯდომარე ვიქ. ღლონტი და, აცხადებს რა ყრილობას გახსნილათ, მოუწოდებს ოზურგეთის ქალაქის თავს გ. მურვანიძეს დაიჭიროს თავმჯდომარის ადგილი, რაც სავალდებულოა წესდების ძალით. ბ. მურვანიძე იჭერს თავმჯდომარის ადგილს და ესალმება ყრილობას დაახლოვებით შემდეგი სიტყვებით:

„მოქალაქენო! მე წილათ მხვდა ოზურგეთის სამაზრო ერობის პირველი ყრილობის გახსნა. გურიის დემოკრატია დიდი ხანია იბრძოდა ერობისათვის, მაგრამ ის, დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დემოკრატიული ერობის მიღება, როცა მოიპოვებდა საერთო პოლიტიკურ თავისუფლებას, თავგამოდებით იბრძოდა ამ თავისუფლებისათვის. ეხლა მოგვეცა საშუალება ავაგოთ დემოკრატიული თვითმართველობა ერობის სახით, ახლა შევსძელით ჩვენ დემოკრატიული ერობის არჩევა. დიდი არის ერობის როლი და მნიშვნელობა დემოკრატიის ცხოვრებაში, მრავალ კითხვების გადაჭრას აკისრებს მას ცხოვრება. კრიტიკულ დროს ვიწყებთ მუშაობას და მით უფრო მნიშვნელოვანია მათი როლი. ეხლა დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს მთავრობის დღევანდელ მის შემოქმედებითი მუშაობაში, ერობამ უნდა მოაწყოს ადგილობრივი ცხოვრება და მით გაუადვილოს მთავრობას ამშენებლობითი მუშაობა“.

ათავებს რა სიტყვას, თავმჯდომარე აცხადებს, რომ იწყება მისალმებები სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა და კერძო პირთაგან.

პირველათ მოკლე სიტყვით ესალმება ყრილობას საგუბერნიო აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ურატაძე. შემდეგ ქუთ. გუბ. კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი.

ამას შემდეგ ყრილობას ესალმება გურიის სოც.-დემ. კომიტეტის სახელით ამხ. გრ. კოპლატაძე, რომელიც, უსურვებს რა ყრილობას ენერგიას ამშენებლობითი მუშაობასა ცხოვრების დემოკრატიულათ მოწყობის საქმეში, პირდება მას, რომ გურიის დემოკრატია, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა ერობა და გადასცა მათ, მათთან იქნება, თუ ისინი ამ დემოკრატიის ნდობას გამართლებენ.

სოც.-ფედერ. სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ნიკ. დოლიძე, ესერების—შ. ქოჟუა და მასწავლებელთა სახელით პ. თოთიბაძე. ლაპარაკობენ აგრეთვე ხმოსნები და პოლკ. ართმელაძე.

თავმჯდომარე კითხულობს მისალმების დეპეშას ფოთიდან მეოთხე პოლკის ოფიცერთა ერთი ჯგუფისაგან.

ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას კითხულობს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ღლონტი. მოხსენებაში ის ეხება არსებულ მდგომარეობას გურიაში და მიუთითებს ყრილობას იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს—წვრილი საერობო ერთეულები, სურსათის, გზებისა და მიმოსვლის, მიწის, ჯანმრთელობის, განათლების საქმეები, ეკონომიური მდგომარეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, ფინანსიური მდგომარეობა, სამკურნალო წყლები და აგარაკები, მუშათა საკითხი და სხვა.

ამის შემდეგ ყრილობა ისმენს სამაზრო ერობის საარჩევნო კომიტეტის წევრის მ. საბაშვილის მოხსენებას ერობის არჩევნებისა და არჩეულთა შესახებ. გურია დანაწილებული იყო სამ საარჩევნო ოლქათ—ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის. პირველი ირჩევდა 7 ხმოსანს, მეორე და მესამე 9—9-ს. ცალკე ირჩევდა ოზურგეთი 2 ხმოსანს. საარჩევნო ყუთები იდგა ყველა საზოგადოებაში. წამოყენებული იყო ორი სია კანდიდატებისა სოციალისტური პარტიების სოც.-დემ., სოც.-ფედ. და სოც. რევ. ბლოკისა და ეროვნულ დემოკრატებისა. მოსალოდნელი იყო, რომ არჩევნებში ნაკლები პროცენტი მიიღებდა მონაწილეობას, რადგან არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ცდილა ზეგავლენა მოეხდინა ხალხზე პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით, მაგრამ ეს არ მოხდა არჩევნების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა, დიდი უმრავლესობა ამრჩეველთა (70 პროც.) საარჩევნო ყუთთან გამოცხადდა და არჩევნებში მონაწილეობის მიღებით თავისი მოქალაქობრივი ვალი მოიხადა.

არჩევნების შედეგი ასეთია:

| საარჩევნო ოლქები | ამრჩეველები იყო. | მიიღო მონაწ. | მიიღო სია № 1 | მიიღო სია № 2 |
|---|---|---|---|---|
| **ოზურგეთის საარჩევნო ოლქი.** | | | | |
| მიქელ-გაბრიელის საზოგადოება | 1718 | 1237 | 1236 | 1 |
| ხვარბეთის | 1670 | 1413 | 1403 | 10 |
| გურიანთის | 1230 | 949 | 943 | 6 |
| დვაბზუს | 2398 | 1672 | 1652 | 20 |
| ლიხაურის | 2343 | 1469 | 1451 | 18 |
| შემოქმედის | 2163 | 1330 | 1274 | 56 |
| ბახვის | 1800 | 954 | 954 | 0 |
| სულ | 13,322 | 9024 | 8913 | 111 |
| **ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი** | | | | |
| ჩოხატაურის საზ. | 2701 | 1807 | 1789 | 18 |
| ნანიეშვილისეული | 954 | 713 | 712 | 1 |
| ერკეთის | 3160 | 2038 | 2038 | 0 |
| ბასილეთის | 2548 | 1065 | 1004 | 61 |
| ჯვარცხმა | 1932 | 1159 | 1094 | 65 |
| ასკანა | 2864 | 1708 | 1708 | 0 |
| ამაღლება | 1794 | 1318 | 1318 | 0 |
| ზემოხეთის | 1698 | 1414 | 1414 | 0 |
| სურების | 1781 | 1550 | 1550 | 0 |
| სულ | 18,622 | 12,774 | 12,627 | 145 |
| **ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი** | | | | |
| ქ. ლანჩხუთი | 2186 | 1178 | 1103 | 75 |
| აკეთის საზოგ. | 1027 | 774 | 774 | 0 |
| აცანის | 864 | 779 | 779 | 0 |
| ძიმითის | 1718 | 1018 | 1018 | 0 |
| ჩიბათის | 1747 | 1646 | 1547 | 99 |
| ჯუმათის | 1139 | 641 | 641 | 0 |
| ნიგოითის | 1781 | 1101 | 1101 | 0 |
| სუფსის | 1983 | 1600 | 1600 | 0 |
| ჩოჩხათის | 1600 | 1499 | 1499 | 0 |
| ჯურუყვეთის | 1997 | 1884 | 1884 | 0 |
| ლანჩხუთის საზ. | 1483 | 1373 | 1373 | 0 |
| სულ | 17,525 | 13,493 | 13,319 | 174 |
| ქ. ოზურგეთი | 3975 | 1436 | 1214 | 221 |
| ჯამი მთელს მაზრაში | 53,454 | 36,725 | 36,073 | 651 |

ამ გვარათ მთელს მაზრაში სოციალისტური ბლოკის (სოციალ-დემოკრატ, სოც.-რევ. და სოც.-ფედერალისტ.) სიას № 1 ხვდა 36073 ხმა; ეროვნულ დემოკრატების № 2 კი 651 ხმა. უკანასკნელი სიიდგან ვერც ერთი კანდიდატი ვერ გავიდა ხმოსნათ ვერც ერთ საარჩევნო ოლქში. ბლოკის სიიდგან კი არჩეულნი არიან ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსნებათ შემდეგი პირები:

ოზურგეთის საარჩევნო ოლქიდან: კირ. ნინიძე, ივ. ღლონტი, ბ. ხუნდაძე, გ. კვაშალი, გ. შილაკაძე, ივ. ხავთასი, და ვიქტ. ღლონტი.

ჩოხატაურის ოლქიდან: ბენ. ჩხიკვიშვილი, ტიტე ართმელაძე, აფ. ცინცაძე, გრ. თავდგირიძე, მირ. რამიშვილი, ს. წერომე, კ. დანელია, კ. ბერიძე, ... გ. ბერეჟიანი.

ლანჩხუთის ოლქიდან: გრ. ურატაძე, არ. წითლიძე, გ. ... ბიძე, გაბრ. გოგუაძე, ... ნიკ. წილოსანი, კონ. გურგენიძე და არ. ჩხაიძე.

ქ. ოზურგეთიდან: დიმ. ერისთავი და ვლ. ცეცხლაძე.

ამ მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილ ხმოსანთა სიიდან იძახის ხმოსანთა სახელგვარებს და არკვევს ვინ არ გამოცხადდა ყრილობაზე. გამოირკვა ყრილობას დაესწრო 23 ხმოსანი, რომელთაც თავმჯდომარე ნოუწოდებს მიიღონ სამოქალაქო ფიცი და მოაწერონ ფიცის ფურცელზე ხელი. გრ. ურატაძეს შემოაქვს წინადადება, რომ სხდომა გადაიდოს მეორე დღისთვის. ყრილობა ერთხმად ადგენს რა გაეგზავნოს მთავრობას მისასალმებელი დეპეშა, რომლის შედგენა ენდობა პრეზიდიუმს, ღებულობს წინადადებას კრების გადადების შესახებ. სხდომა გადიდვა მეორე დღეს დილის 9 საათისათვის.

**მეორე დღე.**

სხდომა იხსნება დილის 10 საათზე. ხმ. ვიქ. ღლონტი კითხულობს პარლამენტის და მთავრობისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტს.

შემდეგ ყრილობა მსჯელობს გამგეობის წევრთა რაოდენობაზე. სოც.-დემ. შემოაქვთ წინადადება განისაზღროს გამგეობის წევრთა რიცხვი—5-ით, რასაც უერთდებიან ყველა ფრაქციები. ყრილობა წინადადებას ღებულობს.

კითხვა ეხება ჯამაგირების განსაზღვრას. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით გრ. ურატაძეს შეაქვს წინადადება თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1200 მ., გამგეობის წევრთ—კი 1000 მ. თვიითეულს. ფედერალისტები უერთდებიან ამ წინადადებას; ესერებს შეაქვთ წინადადება დაენიშნოს თავმჯდომარესა და წევრებს 700—700 მ. თვეში. დაფარული კენჭის ყრით ღებულობენ პირველ წინადადებას (17 თეთრი და 5 შავი).

თავმჯდომარე კითხულობს სამხედრო მინისტრის დეპეშას, რომლითაც მინისტრი ესალმება ყრილობას და იმედს გამოსთქვამს, რომ დემოკრატიული ერობა დაეხმარება მას ძლიერი ლაშქრის შედგენაში, კითხულობენ აგრეთვე სხვა დეპეშებსაც. მიღებული იქნა საპასუხო დეპეშების გაგზავნა სამხედრო მინისტრისადმი.

წინადადება შემოდის, რომ საჭიროა გამგეობის წევრთა კანდიდატები, რომელთა რიცხვი უნდა ეხლავე განისაზღვროს, კითხვა საჭიროა თუ არა კანდიდატები გამგეობისათვის—იწვევს კამათს, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ჩხიკვიშვილი, ურატაძე, ბერეჟიანი, ღლონტი, საბაშვილი და სხვები. გადაწყდა იყოლიონ სამი კანდიდატი, რომლებიც დაიჭერენ გამგეობის წევრთა ადგილს მაშინ, როცა წევრები რაიმე მიზეზით დროებით თუ სამუდამოთ გამოაკლდებიან.

შემდეგ ყრილობა ერთხმათ ღებულობს ხმ. გრ. ურატაძის წინადადებას, რომ არ იქნეს არჩეული საერობო ყრილობის მუდმივი თავმჯდომარე, არამედ ყოველი სესია ირჩევდეს თავის თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისიის არჩევას ყრილობა სდებს მეორე ყრილობამდე, რომელიც ყრილობის დადგენილების თანახმად მოწვეული უნდა იქნეს არა უგვიანეს 2 თვისა.

წვრილი საერობო ერთეულების შესახებ ყრილობა ადგენს: ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის წვრილი საერობო ერთეულების გამოჴრას და ირჩევს კომისიას ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ. კომისიას, რომელშიაც არჩეული იქნენ ხმოსნები. აფ. ცინცაძე, ივ. ღლონტი, არ. ჩხაიძე, გრ. თავდგირიძე და კ. გურგენაძე, უნდა დაემატოს პარტიათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიას დაევალა საჭირო მასალის შეკრება და და მომავალ ყრილობისათვის პროექტის წარდგენა გურიის წვრილ საერობო ერთეულებათ დაყოფის შესახებ. ამასთანავე ყრილობა ადგენს—დარჩეს სარაიონო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტები, სანამ წვრილ ერთეულებში იქნებოდეს შემოღებული ერობა.

უკანასკნელათ ყრილობა უდგება გამგეობის თავმჯდომარისა, წევრთა და მათ კანდიდატების არჩევნებს. სოციალდემოკრატიული ფრაქციის სახელით ხმოსანი გ. შილაკაძე თავმჯდომარეთ ასახელებს გურიაში კარგათ ცნობილს ამხ. ბენია ჩხიკვიშვილს. სხვა ფრაქციები უერთდებიან ამ წინადადებას ბ. ჩხიკვიშვილი სურვილს აცხადებს გამგეობის თავმჯდომარეობაზე, მაგრამ უარს ამბობს არჩევაზე, სანამ ის გუბერნიის კომისრათ არის. ყრილობა ერთხმად ღებულობს შემდეგ წინადადებას: ასახელებს რა კანდიდატათ ოზურგეთის მაზრის საერობო გამგეობის თავმჯდომარეობაზე ბ. ჩხიკვიშვილს, ყრილობა ადგენს—აღძრული იქნას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მისი გუბ. კომისარობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის წევრებათ სოც.-დემ. ფრაქციის სახელით გრ. ჟუჟუნაძე ასახელებს: აფ. წულაძეს და გ. ბერეჟიანს, ფედერალისტები—ტ. ართმელაძეს; ესერები—შ. ჰოჰუას. ყრილობა ერთხმათ ირჩევს მათ გამგეობაში. კანდიტატებათ კი არჩეული იქნენ: ექ. ვლ. ციცხლაძე (ს. დ.), გრ. თავდგირიძე (ს. ფ) და კ. გურგენიძე (ს. რ.).

უკანასკნელათ ყრილობა, ნებას აძლევს რა გამგეობას მომავალ ყრილობამდე კანცელარიისა და გამგეობის სხვა საჭიროებისთვის დახარჯოს სახაზინო თანხიდან 20,000 მანეთამდე—იხურება დღის 2 საათზე თავმჯდომარის მოკლე სიტყვით, რომელშიდაც ის უსურვებს ახალ არჩეულ გამგეობის ენერგიას და კისრებული მძიმე მოვალეობის კეთილათ შესრულებასა და მით დემოკრატიის ნდობის გამართლებაში.

ხუსეინი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი** 9 ოქტომბერს შესდგა პირველ რაიონის ახლათ არჩეულ კოლექტივის წევრთა კრება. პირველათ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულს ჩვენ ძვირფას ამხ. გაბრიჩიძის (პლებეიშვილის) ხსოვნას და გადასწყვიტა მოუწოდოს მუშებს მის გამოსვენებაზე დასასწრებლათ. შემდეგ კრება შეუდგა პრეზიდიუმის წევრების არჩევას. ერთხმათ იქნა არჩეული თავმჯდომარეთ. ამხ. გ. ბახტაძე მის ამხანაგებათ ნინუა და სიხარულიძე, მდივნათ, ფოფხაძე, ხაზინადრათ ჩიქოვანი, კოლექტივმა თავის შემადგენლობიდან აირჩია კიდევ სხვადასხვა კომისიები. კომისია—პარტიაში წევრების მიმღებისა სამი პირიდან—სიხარულიძე, ჯიბლაძე, და ძნელაძე, ამავე კომისიას მიენდო საგამომძიებლო საქმე წევრების შესახებ.

კულტურულ განმანათლებელი კომისიაში ბუბაშვილი, კანდელაკი და გნოევოი. დანარჩენი დღიურ წეს რიგში აღნიშნული კითხვები გადადებულ იქნა შემდეგი კრებისთვის, კოლექტივი დიდ იმედს იძლევა, რომ პარტიულ მუშაობას რაიონში თავის სიმაღლეზე დააყენებს. განსაკუთრებით კოლექტივის წევრებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ჩვენ პარტიულ გაზეთის გავრცელებას მუშათა შორის. ამ ჟამათ გაზ. „ერთობაზე“ ხელის მომწერნი რაიონში ითვლება 160 სული. ამხ. წევრები აღნიშნავენ, რომ გაზეთის გავრცელებაში სხვა და სხვა დაბრკოლებებია.

მდივ. ფოფხაძე.

—

**ხორში** (ზუგდიდის მაზრა). 29 სექტემბერს ს. ხორში მოხდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, პარტიული წევრების კრება, დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) თანამედროვე მომენტი, 2) პარტიული მუშაობის გაძლიერება და 3) თავმჯდომარის, მდივნის, კასირის და კორესპონდენტის არჩევნები. მოისმინა, რა კრებამ ამხ. კ. ნარაკიძის მოხსენება თანამედროვე მომენტის და პარტიული მუშაობის გაძლიერების შესახებ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვღებულობთ, რა მხედველობაში თანამედროვე მომენტს, საჭიროთ ვსცნობთ დღეიდან იქნას გაძლიერებული წმინდა პარტიული მუშაობა, რომ თავიდან ავიცილოთ ანარქია და ყოველივე გაუგებრობას ხალხში ალაგი არ ექნეს, სხვათა შორის იქნეს დაარსებული ინტერპარტიული ორგანო თუ საჭიროთ შეიქნა, ხელი შეუწყოთ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას. შემდეგ მოხდა არჩევნები.

გოჩელი ა—ძე.

—

**ხიდისთავი** (გურია). 25 სექტემბერს შესდგა პირველი სხდომა რეორგანიზაციის შემდეგ, ხიდისთავის რაიონულ კოლექტივისა, თავმჯდომარეობს ამხ. ი. ლომთათიძე. ვინაიდან ახლად არჩეულ კოლექტივის შემადგენლობა იგივეა, როგორიც ძველის, ამიტომ კრება ზედმეტად აღიარებს მოისმინოს როგორც მოხსენება განვლილ პარტიულ მუშაობის შესახებ ისე ანგარიშების.

შემუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. კოოპტაცია, 2. პრეზიდიუმის არჩევნები, 3. სხდომებისათვის დღეების დანიშვნა, 4. მოხსენება, 5. პარტიული საწევრო გადასახადი.

პირველი კითხვის შესახებ, კრებას მსჯელობის შემდეგ გამოაქვს დადგენილება, ვინაიდან არჩევნების სისტემის მეოხებით, ყველა უბნებიდან სამწუხაროდ ვერ მოხვდენ ამხანაგები კოლექტივში, ამიტომ მოწვეულ იქნან კოლექტივში კოოპტაციით ასეთ უბნებიდან ნაცადი ამხანაგები. მოწვეულ იქნენ ამხანაგები: ლ. კვაჭანტირაძე, ელ. ქლენტი, ვ. ფოცხიშვილი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ხუთი ამხანაგი: ი. ლომთათიძე, გ. ჯიბლაძე, ფ. შინია, ბ. მევრელიძე, ს: შონია.

კრება ადგენს: კოლექტივის კრებები იმართებოდეს ხუთშაბათობით, ნაშუადღევის სრულ ორ საათზე. იმ წევრზე, რომელიც დანიშნულ დროზე არ გამოცხადდება, კოლექტივი ცალკე იქონიებს მსჯელობას. შემდეგ კრება ისმენს მოხსენებას იაჩეიკებიდან. ირკვევა, რომ არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ყველა დადგენილებანი და მათ შორის დადგენილება პარტიულ პრესის გავრცელების შესახებ ცხოვრებაში ტარდება და ხორციელდება.

პარტიულ საწევრო გადახადის გადიდების შესახებ, კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: ვინაიდან კოლექტივის დადგენილება, დროებით საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ ყველა ძირითად იაჩეიკებმა მიიღეს და მიზან შეწონილად აღიარეს, ამიტომ ეძლევა წინადადება ჩვენს წარმომადგენელს ც. კომიტეტის პირველ სხდომაზე დასვას და დაიცვას კოლექტივის დადგენილება საწევრო გადასახადის ათ შაურამდე გადიდების შესახებ.

შ.

## მუშათა შორის

**ბორჯომის მამულების საწარმოვო დარგის მუშათა ცხოვრებიდან.** ამ დარგის მუშებმა თანამედროვე სიძვირის გამომწვევ მიზეზის გამო ითხოვეს ორასი მანეთის მომატება თვეში და მასთან სხვა წვრილმანი მოთხოვნილებები, რომელიც წაუყენეს ენკენისთვის პირველ რიცხვებში ბორჯომის მამულების დრომებით მიმღებ კომისიას, რომლებიც კომისიამ, ვერ შესძლო ადგილობრივად მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და გადაეცა ცენტრალურ მთავრობას გასარჩევად, 23 ენკენისთვეს შრომის და მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულების მუშების თანადასწრებით მოხდა მოლაპარაკება, რამოდენიმე დღის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოხდა შეთანხმება. შრომის და მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულები არ არიან წინააღმდეგნი მომატების და თანამედროვე სიძვირის გამო მუშების მოთხოვნილებებს არ სცნობენ გადაჭარბებულად, მხოლოდ ერთი გამოკლებით: თვიურად ორასი მანეთის მომატების მაგიერ მთავრობა ღებულობს თავის თავზე პირველი აუცილებელ სანოვაგით დაკმაყოფილებას, ნორმის მიხედვით და მასთან მხოლოდ 50 მანეთის მომატებას.

თუ ვიანგარიშებთ მთავრობის წინადადებით მუშების დაკმაყოფილებას, მაშინ აუცილებლად მუშები იქნებიან მოგებული; ვინაიდან 200 მანეთის მომატება მუშებზე მთავრობის შეხედულებით უფრო ნაკლები ზომაა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მთავრობამ საჭიროდ დაინახა ფულად 50 მანეთის მომატება და მასან პირველ აუცილებელი საგნებით მუშების დაკმაყოფილება, რაც ჩვენის აზრით საერთო მომატება 400 მანეთამდისაც ავა. და მასთან კიდევ თუ მივიღებთ მხედველობაში სანოვაგის სიკარგეს, რაც აუცილებლივ საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მაშინ მუშების მდგომარეობა მომატების მხრივ გაცილებით უფრო დიდი იქნება. აგრეთვე მუშათა კლუბის, სამკითხველოს თეატრის დარბაზის, და სხ. შესანახ ხარჯებს მთავრობა ღებულობს თავის თავზე. მთავრობის რწმუნებულების წინადედება მუშების რწმუნებულებმა ერთხმად მიიღეს, მხოლოდ ლაპარაკი გამოიწვია იმ კითხვამ თუ რომელ თვის რიცხვიდან უნდა იყოს მოხსენებული მომატება 1 ენკენისთვიდან თუ 1 ოქტომბრიდან, მაგრამ ამაშიაც კითხვა მუშების სასარგებლოდ დამთავრდა. ასე რომ, მუშების ზოგიერთი მოთხოვნილებები შეთანხმებით დამთავრდა მთავრობის წარმომადგენლებთან.

ვუსურვებ ბორჯომის მამულების საწ. დარგის მუშებს ასეთ წინდახედულ ნაბიჯებს, რაც ნიშნებია რევოლიუციის მოპოებული უფლებების განმტკიცებისა საქართველოს რესპუბლიკაში.

ვ. ზაქრაძე.

## პროვინცია

**ველისციხე** (კახეთი.) ჩვენ სოფელში ერთი კაცი (ნასყიდ ხატინოვი) გვყავდა, რომელიც აშკარად აძაგებდა ახალ მთავრობას და ცდილობდა ყველა უბედურების მიზეზად მხოლოდ რევოლიუცია და სოციალ-დემოკრატები გამოეყვანა. ამისთვის, ეს „მოქალაქე“ ადგილობრივ თავ-დაცვის კომიტეტმა თავის დროს დააჯარიმა და გაფრთხილება მისცა.

ეხლა კი სულ სხვაა, საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ ხსენებულ „მოქალაქეს“ ბევრი დამქაშები გამოუჩნდენ. ასეთები არიან: შაქრო დათოიანცი, (ფქვილების სპეკულიანტი.), ლიმონ გაბრიელოვი (მედნის ჩარჩი.), არშაკ თარხანოვი, მარტია ზეილანოვი და ძმანი მათნი. ეს ვაჟბატონები იმის ცდაში არიან, რომ როგორმე სახელი გაუტეხონ რომელიმე ადგილობრივ რევოლიუციონერს ანუ პარტიის წევრს, რომ ამით ხალხში ნდობა დაუკარგონ ახალ საქმიანობას. სასურველია, რომ ასეთ „მოსაქმეთ“ ლაგამი დროზე ამოედვასთ და შესაფერად დასჯილ იქმნენ. საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა მუშაობას ენერგიულად მოეკიდონ დემოკრატიული ელემენტები გარს შემოიკრიბონ და იმედია ასე გაძლიერებულ ფრონტს წინააღმდეგ პროვოკატორ-ხულიგანთა ბნელი „საქმიანობა“ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ვახაკა.

—

**ჩოჩხათი** (გურია). 21 სექტემბერს, ხსენებულ საზოგადოების უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს ს.სარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეების მონაწილეობით. წმინდა შემოსავალი 2100 მან. დარჩა რაც დანიშნულებისამებრ გადაეცა სამკითხველოს გამგეობას. საზოგადოების ერთი ნაწილი წარმოდგენის დროს ვერ იქცეოდა სასურველად და ხელს უშლიდა სცენის მოყვარეებს დაუსრულებელ ხმაურობით.

ეს ერთი ხანია სოფლად ძლიერ ფეხმოკიდებულია წარმოდგენების მართვა და საზოგადოებაც ენერგიულად თანაუგრძნობს ამ მოვლენას. აუცილებლად საჭიროა მეტის ყურადღებით მოეპყრან წარმოდგენების დროს წესიერების დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი და სიმპატიური საქმე, თავის წმინდა დანიშნულებას ვერ მიაღწევს და ამ მხრით ყოველივე შრომა ამაო იქნება.

ა. ჩოჩხათელი.

**ოზურგეთი.** მკითხველი უსათუოდ იცნობს გურიის მფრინავ რაზმს, რომელიც პარტიულ ამხანაგებიდან შედგება, და ახსოვს მისი ლეხნუში და ბაღდადის ფრონტზე ბრძოლა. ახლა ეს რაზმი 75 კაცით ოზურგეთში სდგას და მთელს მაზრას ანარქიისაგან იცავს. 3 ენკენისთვეს რაზმის უფროსის გ. ღლონტის განკარგულებით პოდპორუჩიკი ჩხაიძე წავიდა ს. შემოქმედში იარაღის მოსაკრებათ, სადაც 100 ვინტოვკა აღმოაჩინა და დანიშნულებისამებრ გადასცა. 16 ენკენისთვეს ისევ ის რაზმი იმავე ხელმძღვანელით ფ. ჩხაიძე და მაზრის კომისრის თანაშემწე ი. ლომაძე გაემგზავრა ლანჩხუთში იარაღის მოსაკრებათ. 18 ში დაბრუნდენ და ჩამოიტანეს იქ მოგროვილი 335 ვინტოვკა, 10 რევოლვერი, 2 ბომბი, 1 „რაკეტი“, 1 ტელეფონის აპარატი, 300 ბინტი, 5000 პატრონა ვინტოვკის და გადასცეს მაზრის კომისარს.

გეზათელი გიორგი.

—

**ს. იგოეთი** (გორის მაზრა). უმრავლესობა აქაური ყოფილი აზნაურებისა სოფლის მიწის მუშები არიან, აქაურები ძლიერ ჩამორჩენილია სწავლა განათლებას, თუმცა მათი ეკონომიური და ქონებრივი მდგომარეობა არც ისე ღარიბულია. აქ არიან ისეთი გლეხები, რომ მათი შეძლება აღემატება აქაურ აზნაურებისას. აქ სპეკულიანტობას და ჩარჩბაცაცობას მაგარი ფესვები აქვს გადგმული. მთელ სოფლის მშრომელ ხალხის ნაოფლარ ნამოქმედარს ეს ჩარჩ ვეკები იყრიან თავიანთ ჯიბეში. აქაურები აგრეთვე ეწევიან მობილიზაციის საწინააღმდეგო აგიტაციას: აქ თუმცა მთავრობამ ხალხს იარაღი აჰყარა, მაგრამ დიდ ნაწილს მაინც დარჩა იარაღი, ყოველ დღე საღამოობით თოფების ჭახა-ჭუხი ისმის. გეგონებათ სოფელს მტერი შემოსევიაო.

საზოგადოთ ქვემო ქალის რაიონში და თვით სოფელ იგოეთში, ამ რევოლიუციის დროს ბევრ ადგილას ტაცობას ქონებია ადგილი. დიდი ძალი ხეხილი და ვენახია გაოხრებულ გაჩანაგებულია, თუმცა აქ მომუშავე შეგნებული ამხანაგები და არჩეული კაცები, დიდ შრომას ეწევიან მათ წინააღმდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუგნებინებიათ თუ რა ზარალი მოაქვთ ასეთი მოქმედებით. ამ ორი სამი თვის განმავლობაში აქ ხუთამდე მკვლელობა მოხდა, ამ ბოლო დროს ქურდობამაც თავი იჩინა. მაგ. ს. რენეში გაქურდეს ერთი საწყალი ოსის ოჯახი და მოპარეს სამი ცალი ხარი. ს. ქალაში ამ დღეებში მთავრობისაგან დაბეჭდილი სახლიც გასტეხეს და გაიტანეს ურმით ხაქონელი, ამავე რაიონში გახშირებულია მკვლელობა. ოსობის სოფლებში მოკლეს ორი ოსი ს. გამდის წყაროელი და ერთიც ყოვლად პატიოსანი შეგნებული და სოფლის მოყვარული ს. აბარევის მცხოვრები. ამ ოთხი ხუთი დღის წინათ, ს. ლამის ყანას და ს. სამთავისის ტყის საზღვარზე მოხდა მკვლელობა. ყველა ზემო დასახელებული ბოროტ მოქმედებით მთელი უმრავლესობა მცხოვრებლებისა დიდი უკმაყოფილოა და, უმეტეს ნაწილად კიდევაც იციან ბოროტ მოქმედების ვინაობა, მაგრამ შიშისაგან ხმა ვერ ამოუღიათ და ავაზაკები რჩებიან დაუსჯელად. საჭიროა ადმინისტრაციის, სოფლად მეტი სიფხიზლე, სასტიკი ზომების მიღება, ამ ყაჩაღებ პროვოკატორების და სპეკულიანტების ასალაგმავათ.

ამ დღეებში ამ რაიონში მოეწყო პარტიული ორგანიზაცია. ჯერ თუმცა ნორჩი და მცირე რიცხოვანია, მაგრამ იმედია მალე გააძლიერებს თავის მოქმედებას. დაარსდა აგრეთვე ბიბლიოთეკა სამკითხველო. ამასთავე აუცილებელი საჭიროა მოგვარდეს ფოსტის საქმე.

№ 40.

## წერილები რედ. მიმართ

2 ენკენისთვეს, მომარაგების კომიტეტის ცენტრალურ საწყობის ეზოში ბ. კალისტრატე გოგუამ პირადი შეურაცყოფა მომაყენა ჩემის მხრივ უმიზეზოთ. ვგრძნობ რა ჩემს თავს უკიდურეს შეურაცყოფილათ, ვიწვევ კალისტრატე გოგუას სამედიატორო სამართალში. ვსთხოვ გოგუას ერთი კვირის განმავლობაში მაცნობოს თქვენივე გაზეთის საშუალებით თავის მედიატორის ვინაობა. ჩემის მხრივ ვასახელებ ისაკი საბაშვილს. თუ გოგუა უარს იტყვის მედიატორებზე, საზოგადოებას ეცოდინება, რომ ის მტყუანია.

მუშა ნ. ნიკოლეიშვილი.

—

**პასუხი მ. მირიანაშვილს**

გაზეთ „ერთობაში“ (№ 211) იყო მოთავსებული თქვენი წერილი, სადაც ჩვენ დაუმსახურებელ ჩირქსა გვცხებთ. თქვენ გვაბრალებთ, რომ ვითომდა ქრთამით გაგვენთავისუფლებინოს შაქარი და საპნის სოდა ორ ფუთამდე. მე გეტყვით თქვენ, გავანთავისუფლეთ. მხოლოდ მიტომ, რომ ჰქონდათ შესაფერი მოწმობა. შაქრის მხრივ იყო წარმოდგენილი მოწმობა სოფლის კოოპერატივიდან და სოდისა, კი ჰქონდა ოთხ ჯარისკაცს მოწმობა მიცემული სამხედრო უფროსისაგან პოლკში გადასაცემათ.

თქვენ სწერთ: გადამახდევინეს საბაგაჟო ფული და მერე კი დამიბრუნეს ბოდიშის მოხდით ერთ-ერთ სადგურზეო. ეს თქვენი მოგონილი სიცრუეა, ვინაიდან როცა გითხარით გადაგეხადათ საბაგაჟო 16 მ., თქვენ მაშინვე მითხარით, რომ მე ხუთი ბილეთი მაქვს და ეკუთვნის ხუთ სულსო.

ბილეთების წარმოდგენით დაგიბრუნდათ ფული და შაქარი, როგორც გვქონდა ამაზე უფლება, შტაბის დადგენილებაა და დავალება ადგილობრივი სამინისტროს ადმინისტრაციისაგან. იძახით სადგურზე ოქმიც შევაყენებინეო, არ ვიცი თქვენში ოქმს როგორ აყენებენ, პასუხისმგებელს ეკითხებიან თუ არა?

იმ ვაგონში იყო არა ერთი და ორი, არამედ ათი და ოციც სპეკულიანტი. რაც შეეხება საბაჟო ფულის მოგროვებას ჩვენ მუდამ ასე ვიქცევით და თუ რათ—შეგიძლიანთ შეეკითხოთ ჩვენს შტაბს; ის გადახდევინებული ფული არა მარტო 136 მ. თქვენი დასურათებით, არამედ სულ ბაგაჟისა 702 მ. 5 კ. შევიტანეთ თფილისის კასაში და კვიტანცია № 22262, 16 სექტ. 1918 წ. შეგიძლიანთ იკითხოთ კასაში და ან შტაბში.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ცუდათ მოპყრობას შესაძლებელია მიტომ იძახით, რომ თქვენი ბარგი რათ გავშინჯეთ და რათ აღმოვაჩინეთ თქვენი შაქარი.

ამასთანავე ვაცნობებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ მოკლე ხანში მინისტრის რწმუნებული ჩაჩუა, თვით გამოაქვეყნებს თავის განკარგულებას, რომელიც შეეხებოდა იმ მატარებელზე მომხდარ ჩხრეკას და საბაგაჟო ფულის გადახდას.

უფროსი გვარდიელი შარუხია.
თანაშემწე ლეჟავა.


## განცხადებანი

**ვისაც სურს სამუშაო** გაიჩინოს შეუძლია მიმართოს ვლასოვას—პირველი თუმანოვის ქუჩა № 16, დილის 8—10 საათამდე, საღამოს 4—6 საათამდე.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭავების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. ტელეფ. 1—04.

ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, სა ბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის საექიმო კაბინეთები
**თედორე სახვარელის ძე ცხოველიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენრგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტზე; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობის, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**ძ. ხ ო 6 ი.**
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს. მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**მიხეილის ქარქო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო)

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ვაჩნაძეებისა. ტელ. № 5—77.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდილნი ქ № 14.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

სამკურნალო კაბინეთი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით, დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.
**სახალხო სახლი.**
სამშაბათს, 15 ოქტომბერს, 1918 წელს წარმოდგენილი იქნება
**მელანიას ოინები**
კომ. 4 მოქ. ჰაუპტმანისა, გადმ. კ. მესხისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, ჭიაურელი; ბბ. ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, მეტრეველი, მინდიაშვილი, მამაჯანოვი, თავდგირიძე, ჭანკვატაძე.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.
სახ. სახლ. წარმ. ადმინისტრაცია. რეჟისორი ნ. გოცირიძე.
(2—1) რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

**სოფლის კოოპერატივების საყურადღებოდ.**
**თფილისის მომარაგების კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ მას აქვს გადადებული სოფლის კოოპერატივებზე გასასყიდად ასი ათასი წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმისა (ბიაზისა) წყვილი ღირს ხუთი თუმანი. მისამართი: მომარაგების კომიტეტი, თფილისი, შტაბის ქუჩა, 2.

**საჩქაროდ იყიდება**
**„პანცელნ.“ რკინის კასა წონით 40 ფუთი**
ფაბრიკა ე. ფეილისა.
(2—1) ოქრომჭედლების ქუჩა № 9.

**თფილისის სახალხო ინსტიტუტში**
და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს (ქართულ ენაზე). ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართული ენა და ლიტერატურა, საქარ. ისტორია). 2. ბუნების მეტყველება და მათემატიკა.
**ცნობად:** 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტში პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი-მთავრის ქუჩა № 91. (6—6)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.